ეროვნული ბერი

ცხოვრება და მოღვაწეობა

წერილები

+

ᲥᲠᲘᲘᲥᲝᲚᲝ ᲑᲔᲥᲠᲘᲘ

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲥᲕᲐᲠᲔᲝᲑᲐ

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ

იბეჭდება ჭყონდიდელი მიტროპოლიტი
პეტრეს (ცაავა) ლოცვა-კურთხევით

ბერი გრიგოლ ნადარეიშვილი XX საუკუნის ქართველ ბერმონაზონთა დასში ერთ-ერთი გამორჩეული მოღვაწეა. იგი თავისი სულიერი მოძღვრის, ღირსი ალექსის (შუშანია), სულიერი მემკვიდრეობის გამგრძელებელია.

გრიგოლ ბერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერას შევეცადეთ რეზო ნესტორის ძე ნადარეიშვილის მოგონებების მიხედვით. ღვთის განგებით, გრიგოლ ბერის თვითმხილველთაგან ცოცხალი მხოლოდ მისი ძმისშვილი ბატონი რეზოა. მამა გრიგოლს იგი გამორჩეულად უყვარდა. როდესაც ბატონი რეზო ბიძაზე საუბრობს, ბერისადმი განუზომელი სიყვარულითა და მოკრძალებით, მისი პიროვნული ღირსებიდან გამომდინარე, იმსჭვალებით. მან გაგვიცოცხლა დიდი ბერის წმინდა ხატება, რისთვისაც ეკლესიის სახელით მადლობას ვუხდით.

ჩვენი მოკრძალებული ნაშრომი გრიგოლ ბერის ღვაწლს ბოლომდე ვერ გადმოსცემს, რისთვისაც გულწრფელად ვითხოვთ შენდობას და გვწამს, რომ დიდსულოვნად მოგვიტევებს.

სუჯუნის წმ. გიორგის დედათა მონასტერი
2015

ISBN 978-9941-0-8242-9

„ჰე, ძრწაფს ღვთისა, რაფეთუ მე აღვდგე და არა შეეძრა უკუნისამდე ძალითა ქრისტესითა!“

ბერი გრიგოლი

საქართველოს ეკლესიის ისტორია ერის ისტორიასთან არის შესისხლხორცებული. ჟამთა სიავემ ვერ შეძლო მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა. ამ მხრივ გამონაკლისია XX საუკუნე. ერი, რომელიც ამაყობდა მტკიცე და შეურყეველი სარწმუნოებით, რომლითაც იგი ერეოდა გარე მოდგომილ სულიერ და ხორციელ მტრებს, ზნეობრივად დაეცა, რაც იყო ნაყოფი ურწმუნოებისა. ამ რთულ მოვლენებს წინ უსწრებდა ერთმორწმუნე იმპერიის ბატონობა, რამაც გარკვეულ წილად ყოველივე ამისთვის ნიადაგი შეამზადა. იმპერიის სამსახურში მრავლად იყვნენ ცხვრის ტყავში გახვეული მგლები, რომელთა აუხდენელი ოცნება ეროვნული სულის ჩაკვლა და მთელი საქართველოს სისხლით მორწყვა იყო.[1] ისინი ცდას არ აკლებდნენ, რომ „ლერწამი განტეხილი“ შეემუსრათ და „პატრუქი მკმოლვარე“ დაეშრიტათ.

მრავლსალმობიერი და უკვე ხანმოთეული ერი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქრისტეს

1. დეკანოზ ვოსტორგოვის სიტყვები: „ეპისკოპოს კირიონს ჩავახრჩობ და მთელ საქართველოს სისხლით მოვრწყამო“ (გაზ. „რეჩ“ 15.03.1908წ).

თაყვანს სცემდა და მეფეს ერთგულობდა, იმპერიის უსახურ სახელმწიფო მოხელეთა და უღირს სასულიერო პირთა მიერ მოიწყლა და მოუძლურდა. რაც თავის დროზე უშჯულო მტერმა ვერ შეძლო, ერთმორწმუნე იმპერიამ ადვილად მოახერხა.

ეკლესია იდევნებოდა მისი შვილებისაგან, რომელთაც დაუტევეს მამული შჯული და ანტიქრისტეს შეუდგნენ. ეშმაკეული მოძღვრებით გატაცებულნი მიმორბიოდნენ ქალაქითი-ქალაქად და სოფლითი-სოფლად და ეკლესიისგან განდგომას ქადაგებდნენ. თავად გახრწნილნი, ხრწნიდნენ კაცთა სულის საუკუნო ნეტარებას.

იერემია წინასწარმეტყველის მსგავსად, უნუგეშოდ გოდებდა წმ. ალექსი ბერი: „შეძრწუნებულ არს სული ჩემი და ვეკითხები ჩემ თავს გაოცებით – თუ რა მოელის ქვეყანას“.[1] მათი სიშმაგე წიწამურის საზარელი ტრაგედიით დასრულდა და კიდევ ერთი დიდი ეპოქა ისტორიის საკუთრება გახდა.

ქრისტეს შობიდან მეორე ათასწლეულის ბოლო საუკუნე მატიანის ფურცლებზე თავის სისხლიან კვალს ტოვებდა. ილიას იდეები ახალმა თაობამ დრომოჭმულად მიიჩნია და ქარბერილი ოცნებით შეპყრობილმა სოციალისტური ლოზუნგი გაახმია-

1. წმ. ალექსი შუშანიას ქადაგება თეკლათის დედათა მონასტერში, 1904 წ. მაისი.

ნა: ძმობა, ერთობა, თავისუფლება! ამაოდ დაიღვარა ბევრი სისხლი, ცრემლი და ოფლი. ერი წარსაწყმედად მიმყვანებელ ფართო გზას დაადგა. მცირედნი იყვნენ ისინი, ვინც ილია მართლის მრწამსი ცხოვრების მარადიულ ღირებულებად გაითავისა და წამების ეკლიან გზას შეუდგა. ეს იყო ქრისტეს მცირე სამწყსო, შეურაცხყოფილი, ნაგვემი, დათრგუნვილი, მაგრამ არა ძლეული.

დრომ თავისი ქნა, დაცხრა აბორგება ეკლესიისგან განდგომილ შვილთა, წუთისოფლის მღელვარე ტალღებმა წარხოცა მათი სახელები და უკეთური საქმენი. კლდესა ზედა სარწმუნოებისასა აღშენებულმა ეკლესიამ სძლია მისდამი გამოლაშქრებულ ათასეულთ და ბევრეულთ და მის ნათელში გამოჩნდა წმინდა ხატება იმ ადამიანთა, რომელნიც ეკლესიის მაცხოვნებელ მადლს არ განშორებულან, ვინც თავისი ღვაწლითა და მოსაგრეობით იმ სულიერ უკუნეთსა და წყვდიადში ერს წრფელ გზაზე სვლის თვალსაჩინო მაგალითს აძლევდა, და ტანჯვის, ცრემლის, სისხლის წილ საუკუნო ნეტარება დაიმკვიდრა. ამ დიდ სულიერ ღვაწლში გრიგოლ ბერმა თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა.

ბერი გრიგოლი, ერისკაცობაში ვასილ ნადარეიშვილი, დაიბადა 1881 წ. აბაშის რაიონის პატარა კოლხურ სოფელ ონტოფოში. ონტოფო ძველ წყაროებში მოიხსენიება როგორც „დადიანების სამფლობელო საეკლესიო სოფელი“, მისი ძველი სახელია საჭყონდიდო.[1] როგორც ჩანს, ნადარეიშვილთა გვარის წარმომადგენლები ძველთაგანვე სასულიერო მოღვაწეები იყვნენ. აკად. ექვთიმე თაყაიშვილს აღნიშნული აქვს, რომ სოფელ ონტოფოში დაათვალიერა წმ. ბარბარეს ეკლესია, იქ უნახავს ვერცხლის ხატი, რომელიც 1762 წ. ლალის ქვებით შეუმკია ეკლესიის ღვთისმსახურ დეკანოზ იოანე ნადარეიშვილს.

აკად. გიორგი ჩიტაიას სახ. ეთნოგრაფიულ მუზეუმში დღესაც დაცულია ულურსმნო, გამოხარშული წაბლის ხისგან დამზადებული კოლხური ოდასახლი. იგი ლაზმა ოსტატებმა ააგეს სოფელ ონტოფოში, ამ სახლში ცხოვრობდა გიგო ნადარეიშვილისა და სოფიო ჭანტურიას ღვთისმოსავი ოჯახი: ვასილი, ვლადიმერი, პარასკევა, პელაგია, ფილიპე (ჩვილი გარდაიცვალა) და ნესტორი.

იმ დროისათვის მათი ოჯახი შეძლებულად მიიჩ-

1. ნადარეიშვილთა გვარი ძველ დოკუმენტებში XVIII საუკუნემდე არ იხსენიება. არსებობს გადმოცემა, რომ მათი წინაპრები იმერეთის სამეფოდან გადმოსახლებული აგიაშვილები იყვნენ. ერთ-ერთი თავადი აგიაშვილი გარკვეულ გარემოებათა გამო (მესისხლეობის) აყრილა თავისი საცხოვრისიდან (რაჭიდან) და დასახლებულა დღევანდელ სოფ. ონტოფოში. ამ პიროვნებას დაუდია სათავე ნადარეიშვილთა გვარისთვის. ამიტომ ონტოფო ნადარეიშვილთა გვარის ფუძე სოფლად მიიჩნევა.

ნეოდა. ონტოფოში მამულების გარდა, ქ. სოხუმში ჰქონდათ სავაჭრო სახლები და კომერციასაც ეწეოდნენ. უფროსი ვაჟი ვასილი, „ბატა“, როგორც მას შინაურები ეძახდნენ, გახლდათ ბერი გრიგოლი. ბატამ სოხუმის გიმნაზია ოქროს მედალზე დაამთავრა, მაგრამ მამის გარდაცვალების გამო სწავლის გაგრძელება ვერ შეძლო. იგი იძულებული იყო, ოჯახზე ეზრუნა. როდესაც ოჯახის მეურვედ დანიშნულმა ნათესავმა ქვრივ-ობლების შევიწროება სცადა, ჯერ კიდევ თოთხმეტი წლის ყმაწვილმა დაიცვა ოჯახის ღირსება. სოფლის მამასახლისი იძულებული გახდა, ქონების განმკარგველად არასრულწლოვანი ბატა დაენიშნა.

ბატა უაღრესად ნიჭიერი და გამორჩეული გარეგნობის ყოფილა. გიმნაზიაში სწავლისას ყველას აკვირვებდა თავისი მახვილი გონებითა და სიბეჯითით, განათლებული ქართველობა მასზე დიდ იმედებს ამყარებდა. მაშინდელი ქართული პრესაც წერდა მის არაჩვეულებრივ ლიტერატურულსა და მათემატიკურ ნიჭზე. სიყმაწვილეში რევოლუციური იდეებით იყო გატაცებული, რასაც იმხანად „ერთობის საქმეს“ ეძახდნენ. მეგობრობდა ალექსანდრე აბაშელთან, კონსტანტინე გამსახურდიასა და იმ დროის სხვა საზოგადო მოღვაწეებთან. თავად მიქელაძეს იმდენად მოსწონებია, რომ საკუთარ ქალიშვილზე დაქორწინება შეუთავაზებია, მაგრამ ბატას იტალიიდან ჩამოსული, დიდვაჭრის

მშვენიერი ქალიშვილი შეჰყვარებია. დედა ამ სიყვარულს წინ აღუდგა. სოფიო ღრმად მორწმუნე, მართლმადიდებლურ ტრადიციებზე აღზრდილი ქალი გახლდათ და კათოლიკე გადამთიელი რძალად არ ისურვა. დედის უარით გაწბილებულმა ბატამ დაოჯახება გადაიფიქრა. რევოლუციონერმა მეგობრებმაც იმედი გაუცრუეს. 1905 წლის მოვლენებში მონაწილეობამ იგი დაარწმუნა, რომ რევოლუციურ მოძრაობაში პარტიული ტერორისტები დიდ როლს ასრულებდნენ, მათი დავალებით მიმდინარეობდა „რევოლუციის მტრების“ ლიკვიდაცია. ამ განუკითხაობას მრავალი უდანაშაულო ადამიანი შეეწირა. მაღალი იდეალების მქონე პიროვნებას გაუჭირდა მათი საბრძოლო მეთოდების მიღება. იგი მალე ჩამოშორდა მედროვეებს, მორწმუნე ოჯახში აღზრდილმა შვება ეკლესიაში პოვა.

XX საუკუნის გარიჟრაჟი იდგა, საყოველთაო ურწმუნოების ეპოქა. რუსეთის იმპერიის ძალმომრეობის მიუხედავად, ქართული ბერმონაზვნური ტრადიციები ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო. ამ უმძიმეს წლებში მოღვაწეობდა მრავალი გამოჩენილი სასულიერო პირი, რომელნიც ღირსეულად ემსახურებოდნენ საქართველოს ეკლესიას.

განგებამ სხვა გზით წარმართა ბატა ნადარეიშვილის ცხოვრებაც, უფალი ღვთისსათნო ჭაბუკს დიდი ღვაწლისათვის ამზადებდა. მან მალე იპოვა სულიერი მოძღვარი, „კაცი ზეცისა და ანგელოზი

ქვეყანისა“, ქართველთა დიდი მნათობი – ალექსი ბერი. იმხანად მოღვაწე მამათა კრებულში ღირსი ალექსი გამორჩეულად ბრწყინავდა. იგი თავისი მოძღვრებითა და სულიერი სიბრძნით რწყავდა უშჯულოებით დაკორდებულ ჭაბუკთა გულებს და განწმენდდა მათ უმწიფარ გონებას ათეისტური ღვარძლისაგან. იმ ხანებში პატრიოტული სულისკვეთებით განმსჭვალული ბევრი კეთილსინდისიერი ახალგაზრდა ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის თავგანწირულად იბრძოდა, მაგრამ, ვისაც სარწმუნოება გააჩნდა, მოვლენების არსს ადვილად ჩასწვდა. ამ მხრივ, ალექსი ბერმა დიდი ღვაწლი გასწია. კეთილი მწყემსი, თავისი ღვთივსულიერი სწავლებით, ახალ თაობას სულიერ ხედვას განუვითარებდა, დაუღალავად შეაგონებდა, ასწავლიდა და წვრთნიდა. არამცირედნი იყვნენ ისინი, ვინც კეთილად შეიტკბო მისი მოძღვრება, ჩამოშორდა ამ სოფლის ამაოებას და ცხონების გზას დაადგა, მათ რიცხვში იყო ბატა ნადარეიშვილიც. შემორჩენილია ალექსი ბერის ლექსითი მიმოწერა რამდენიმე ადამიანთან, სადაც განუმარტავს სულიერი ცხოვრების არსსა და ამქვეყნად ქრისტიანის დანიშნულებას. ერთ-ერთი ლექსი მამა გრიგოლს ეძღვნება. [1]

1. ლექსი მოგვაწოდა სენაკისა და ჩხორწყუს მიტროპოლიტმა შიომ (მუჯირი), დაცულია თეკლათის დედათა მონასტრის არქივში.

საბერო ბატა ნადარეიშვილს

ჭაბუკო ბატა, არ გშვენის ესდენ,
გულის სიჩვილე, სულის მასუსტად,
სიმხნე სიჯაბნის დამთრგუნველია,
ჯვარსა არ შვენის, რო შეხვდე სუსტად.

ძალა იმოსე, ვიწროა სავალ,
მხნეობით საძლევ შესავალადა,
წმინდათა ტანჯვა გაითვალწინე,
გოლგოთა გიწვევს აღსავალადა.

ტკბილი უმწაროდ ვინ გამოიცნოს,
ორთავეს გემოს უხილველადა,
ერთმა მეორე მაშინ გააცნოს,
როს გემო შედის საცნობელადა.

იბრძვის ბოროტი, გზა შეგიშალოს,
სატრფო იდეა შორს გაისროლოს,
მით არჩევანი სირცხვილით მოსოს
და შენ წყვდიადში გადაგისროლოს.

მაგრამ ხვიმირში გონებას
ნუღა დაამწყვდევ საბნელოდ...
ფართოდ ანათე, ახედვე,
ნუ გიჩნს გზა ღვთისა საძნელოდ,

გმირობა სოფლად ძვირია,
სიგლახე ქუჩად ღიღინობს,
სიტყვა საქმეა გმირთათვის,
არ ბალღურ გრძნობით ტიკტიკობს.

დეე, რაც იქმნეს, გადახდეს,
კიცხვა თუ ბასრვა ჭორებით,
შენ ეკუთვნოდე იმ გმირთა,
ვინც არ ღორდება ოცნებით.[1]

ამ მშვენიერი ლექსით ღირსი ალექსი ამხნევებს მორჩილების გზაზე შემდგარ მოწაფეს, საღმრთო შურით აღძრავს მას და მომავალი სულიერი ბრძოლისათვის განაწყობს.

ოცდაშვიდი წლის ბატა ნადარეიშვილმა გულისხმაყო ალექსი ბერის ღირსება, დაემოწაფა გამოცდილ მოღვაწეს და ბოლომდე მიენდო მას. ჭაბუკის გულში აღარ იყო ადგილი ეჭვისა და მერყეობისათვის. მან სოფლისგან განდგომისა და მონაზვნობის გადაწყვეტილება მიიღო.

ღირსი ალექსი ბერობის მსურველებს ათონის წმინდა მთაზე აგზავნიდა. მოძღვარმა ბატაც აკურთხა ათონზე გამგზავრებულიყო და იქ მიე-

1. მეგრული ზმნა ღორდება აქ იხმარება სინონიმად ზმნისა ტყუვდება, ე. ი. „ვინც არ ტყუვდება ოცნებით“

ღო მონაზვნური ცხოვრების გამოცდილება.

წმინდა მთაზე სამოღვაწეოდ მიმავალი ქართველები, უპირველესად, იერუსალიმს მოილოცავდნენ. ეს ტრადიცია ძველთაგანვე დამკვიდრებული იყო საქართველოში. ბატაც ასე მოიქცა, 1908 წელს იგი ჯერ ქ. ოდესაში და იქიდან იერუსალიმში გაემგზავრა,[1] მაცხოვრის საფლავისა და წმინდა მიწის მოლოცვის შემდეგ კი ათონის მთაზე.

1910 წელს ვასილ ნადარეიშვილი ათონზე ბერად აღიკვეცა.[2] როგორც ცნობილია, მღვდელ-მონაზონ ბენედიქტე ბარკალაიას ძალისხმევით, ათონის წმინდა მთაზე იოანე ღვთისმეტყველის ქართული სავანე დაარსდა,[3] სადაც მოღვაწეობდნენ მაღალი სულირებითა და ღვთივსათნო ცხოვრებით გამორჩეული ქართველი ბერები.

იმჟამად ათონზე უმძიმესი ვითარება იყო, ქართველ ბერებს ივერთა მონასტერში არ უშვებდნენ, ისინი ბერძნებისაგან საშინელ დევნასა და შევიწროებას განიცდნიდნენ. ამ დროისთვის სავანის წინამძღვარი გახლდათ მღვდელ-მონა-

1. ძმისშვილებს უყვებოდა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ნანახ შოთა რუსთაველის ფრესკის შესახებ.
2. აღკვეცის თარიღის დაზუსტება შესაძლებელი გახდა დედა სიდონიასადმი მიწერილი წერილიდან.
3. წმ. იოანე ღვთისმეტყველის სავანე ივერონის მონასტრის მახლობლად მდებარეობდა და ადმინისტრაციულად მას ექვემდებარებოდა. მამა ბენედიქტემ 1869 წ. ივერონის მონასტრის მიტოვებული სენაკი შეიძინა, განაახლა, ახალი ტაძარი ააგო და ქართული საძმო შეკრიბა.

ზონი იონა ხოშტარია. წმ. იოანე ღვთისმეტყველის სავანემ 1919 წლამდე იარსება, ქართველი ბერების მცირე ჯგუფმა წმინდა მთა დატოვა და სამშობლოში დაბრუნდა, უმეტესი ნაწილი კი ათონზე დარჩა.[1]

გრიგოლ ბერი ამ მოვლენებამდე რამდენიმე წლით ადრე (სავარაუდოდ, 1912 წ.) დაბრუნდა საქართველოში. იმხანად, რუს ბერებს შორის გავრცელებულმა „იმიასლავცების“ მწვალებლობამ წმინდა მთაზე დიდი არეულობა გამოიწვია. ბერი გრიგოლი ამ მოვლენების მომსწრე იყო. იხსენებდა, როგორ გამოასახლეს ათონის მთიდან ათასზე მეტი ბერი და რუსეთის სამხედრო გემებით კავკასიაში გადაიყვანეს.[2] 1912–1913 წლებში მიმდინარეობდა აგრეთვე ბალკანეთის ომი, რამაც რუსებსა და ბერძნებს შორის ურთიერთობა უკიდუ-

1. წმ. იოანე ღვთსმეტყველის ქართული სავანის წინამძღვარი მღვდელ-სქემონაზონი იონა (ერისკაცობაში იოანე მერაბის ძე ხოშტარია) აბაშის რ-ნის სოფ. სუჯუნიდან იყო. ათონის მთის რუსი მოღვაწეები მას დიდ პატივს მიაგებდნენ. მღვდელ-სქემ. იონამ დიდი გარჯა გასწია ქართული სავანის უფლებების მოსაპოვებლად, რაც უშედეგოდ დამთავრდა. მისი გარდაცვალების შემდეგ (1919 წ.) ქართველი ბერები გააძევეს მონასტრიდან. ათონზე დარჩენილი ქართველი ბერების ერთი ნაწილი პანტელეიმონის რუსული მონასტრის კუთვნილ სტეფანე პირველმოწამის სენაკში დაბინავდა, ნაწილი კი ათონის სხვადასხვა მონასტერს შეეკედლა.
2. ეს მოვლენა დაკავშირებულია წმ. პანტელეიმონის რუსული მონასტრის ისტორიასთან. საბერძნეთის მთავრობის მოთხოვნით ათონიდან ბერების დეპორტი 1912–1913 წ. განხორციელდა. დაახლოებით ათას ორასი რუსი ეროვნების ბერი იძულებით გამოასახლეს ათონის მთიდან, ამ დაპირისპირებაში ქართველ ბერებს მონაწილეობა არ მიუღიათ.



რესად დაძაბა. პოლიტიკურად მოტივირებული ეს მოვლენები ქართველთა სავანეში არსებულ მძიმე ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებდა.[1] მამა გრიგოლმა სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა. მოგვიანებით იგი კეთილად იგონებდა წმინდა მთაზე გატარებულ წლებს, იმასაც, თუ როგორ გადაეყარა ტყეში უზარმაზარ დათვს, რომელიც მშვიდობიანად გაშორდა.

ამის შემდეგ გრიგოლ ბერი „მთავარანგელოზთა კუნძულის“ სავანეში დამკვიდრდა. ოჯახის შემწეობით, მონასტრის ეზოში ორთვლიანი ოდა გამართა და ღირსი ალექსის სულიერი ხელმძღვანელობით შეუდგა მოღვაწეობას.[2]

მონასტერში დღესაც არსებობს ივერიის ღვთისმშობლის ხატი, რომელიც გრიგოლ ბერმა ათონიდან ჩამოაბრძანა: „წმიდა ესე ხატი, ივერიის ღვთისმშობლისა შევსწირე მთაწმინდით თეკლათის მთავარანგელოზის ეკლესიასა, მონაზონი გიორგი გ. ძე ნადარეიშვილმა, მთაწმინდელყოფილმა, საოხად სულისა ჩემისა

1. ქართველების მომრავლებით შეშფოთებული ივერონის მონასტრის მმართველი ბერძენი არქიმანდრიტები ახალგაზრდა ქართველ ბერებს განსაკუთრებულად ავიწროებდნენ. იმ დროს არაერთი ქართველი ბერი დაბრუნდა სამშობლოში.
2. გრიგოლის ძმას, ნესტორს უამბნია, როგორ იყიდა ორთვლიანი ოდა და ზედა თეკლათის მამათა მონასტერში (მენჯში) ურმით მიუტანა.

და მოსახსენებლად მშობელთა ჩემთა 1912 წ“.[1]

ალექსი ბერმა 1917 წელს დაითხოვა მონასტრის ძმობა და დაყუდებულ მოღვაწეობას შეუდგა. ამ მოვლენების შემდეგ სად მოღვაწეობდა მამა გრიგოლი, ჩვენთვის უცნობია. სამთავროს დედებისადმი 1919 წელს მიწერილი ბარათიდან დანამდვილებით ვიცით, რომ იგი საქართველოშია. იწერება, რომ ეშმაკმა არ მისცა საშველი და ფეხი ვერსად მოიკიდა, აქვე ახსენებს სულიერ მოძღვარს, რომლისგანაც ელოდება კურთხევას, რომ შეიტყოს ღვთის ნება. როგორც ჩანს, ამ ხანებში მამა გრიგოლი ცდილობს, სადმე მონასტერში დამკვიდრდეს, მაგრამ საბოლოოდ იგი სხვა გადაწყვეტილებას იღებს. ათონურ ტრადიციებზე აღზრდილმა და ღირსი ალექსის სულიერ სიბრძნეს ნაზიარებმა, მოძღვრის კურთხევით, განდეგილობის გზა აირჩია.

სიწმინდეს, როდესაც იგი სულის მოთხოვნილებად იქცევა, ბუნებრივად მიჰყავს ადამიანი მკაცრი ასკეტური ცხოვრებისაკენ. იესოს ლოცვა მწვერ-

1. ტრადიციისამებრ, ათონზე მოღვაწე ქართველი მამები წმ. მთის სასწაულმოქმედი ხატების ასლებს აგზავნიდნენ საქართველოს სხვადასხვა მონასტერში. მენჯის სავანეში ყველასთვის კარგად იყო ცნობილი, რომ ივერიის ღვთისმშობლის ხატი ათონიდან მამა გრიგოლმა ჩამოაბრძანა. ამას ადასტურებს რეზო ნადარეიშვილიც, ამის შესახებ მან მშობლებისაგან იცოდა. გაუგებრობას იწვევს ხატის წარწერა: „გიორგი გ. ძე ნადარეიშვილი“, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მამა გრიგოლს მცირე სქემაში ერქვა გიორგი და გრიგოლი დიდ სქემაში ეწოდა. დიდ სქემაში აღკვეცა გახლდათ ათონური ტრადიცია. მამა გრიგოლიც სავარაუდოდ, დიდ სქემაში იქნებოდა აღკვეცილი. ღირს ალექსის (შუშანია) ამ წესით მრავალი თეკლათელი მონაზონი აღუკვეცავს. (ამ მოსაზრებას იზიარებს საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევარი, ლუარსაბ ტოგონიძე)

ვალია ასკეტური მოღვაწეობისა და გზა სრულყოფილებისა. ამ გზას დაადგა ბერი გრიგოლი, მთელი სიცოცხლის მანძილზე მას არასოდეს შეუწყვეტია ლოცვა.

ძალიან მალე ისევ დადგა ძნელბედობის ჟამი. 1921 წელს ბოლშევიკურმა რუსეთმა საქართველოს ანექსია გამოაცხადა. დამყარდა კომუნისტური ტირანია – ჟამი ნგრევის, სიცრუისა და ძალადობის. დაიწყო ეკლესიის მსახურთა სასტიკი დევნა. ონტოფოში ორი ეკლესია დაანგრიეს. ხატები და საეკლესიო ნივთები დაწვეს. მოსახლეობის თხოვნას, არ წაებილწათ სიწმინდეები, ისინი ცინიკურად პასუხობდნენ. ერთ-ერთი ბოლშევიკი ტაძრის სახურავიდან ჩამოვარდა და სული იქვე განუტევა, მათი სიშმაგე ამანაც ვერ დააოკა, დაა-პატიმრეს აფხაზეთიდან დედის დაკრძალვაზე ჩამოსული მღვდელ-მონაზონი ლუკა ნადარეიშვილი.

კომუნისტებს თვალში არ მოსდიოდათ გრიგოლ ბერის ოჯახიც, მისი ძმა ნესტორი, ყოფილი მენშევიკი, კონტრრევოლუციონერად მიაჩნდათ. თავის დროზე იგი რუსეთის იმპერიის უნტერ-ოფიცერი, პირველი მსოფლიო ომის გმირი იყო, იბრძოდა ტაბახმელასთან წითელი არმიის წინააღმდეგ. 1924 წლის აჯანყების ჩახშობის შემდგომ, რეპრესიების დროს, დახვრეტას სასწაულებრივად გადაურჩა.

იმ ხანებში გრიგოლ ბერი მშობლიური სოფლის ტყეში უსარკმლო პატარა ხულაში მოსაგრეობდა.

შაბათ-კვირას შინ მიდიოდა. ნესტორის ოჯახში შვიდი ბავშვი იზრდებოდა, მათ შორის სამი ობოლი ძმისშვილიც. ბატონ რეზოს კარგად ახსოვს, როგორ ეალერსებოდა პატარებს ახოვანი და წარმოსადეგი ბატა ბიძია, გადასახლებამდე ყოველთვის შემოსილი იყო. დროდადრო ძმისშვილები ტყეში საცალფეხო ბილიკს მიუყვებოდნენ და ბიძისთვის საჭმელი მიჰქონდათ. იგი მათ თავისი პატარა ბოსტნიდან ტკბილი ნესვით უმასპინძლდებოდა. საოცრად თბილი და მოსიყვარულე ბერი ბავშვებს ანდამატივით იზიდავდა, პატარებს იგი გამორჩეულად უყვარდათ.

ერთხელაც, შინ სტუმრად მისული, შემთხვევით შეესწრო მორწმუნე მეზობელს, დესპინე მაკალათიას, როგორ ეკამათებოდნენ თანასოფლელები, ის დრო იყო კომუნისტები კოლმეურნეობას რომ აყალიბებდნენ. სოფელში სტუმრად აბაშის აღმასკომის თავჯდომარეც ჩამოსულიყო. გრიგოლი გამოესარჩლა მეზობელს, რელიგიურ თემაზე საუბარი კამათში გადაიზარდა. ბერთან დაპირისპირებული აღმასკომის თავჯდომარე სასტიკად დამარცხდა და ბოლშევიკმაც არ აპატია სახალხოდ შერცხვენა.

1935 წლის გაზაფხულზე შუაღამეს სახლს ალყა შემოარტყეს, წაიღეს საეკლესიო წიგნები და მამა გრიგოლის პირადი ნივთები. მისი ძმა ნესტორი აიძულეს, ტყეში დაყუდებული ბერისკენ გასძღოლო-

და. გრიგოლი იმავე ღამეს დააპატიმრეს. რეპრესიები მძვინვარებდა, ოჯახმა არაფერი იცოდა მის შესახებ. მოგვიანებით ახლობლისაგან შეიტყვეს, რომ გაუსამართლებიათ და გადასახლებაში იმყოფებოდა. (როგორც ირკვევა, ბერი გრიგოლი გაასამართლეს პოლიტიკური მუხლით – ანტისაბჭოთა აგიტაცია-პროპაგანდა. მიუსაჯეს სამი წლით თავისუფლების აღკვეთა ქ. ყარაღანდის შრომა გასწორების ბანაკში).[1]

გავიდა ხანი და წერილიც მიიღეს შუა აზიიდან, ყარაღანდაში იხდიდა სასჯელს, ქვანახშირის მაღაროებში მუშაობდა. თურმე იქ საშინელი შიმშილი მძვინვარებდა, მოკრძალებულად ითხოვდა, ცოტაოდენი საკვები და თბილი ტანსაცმელი გაეგზავნათ. რის ვაივაგლახით იშოვეს ხორბალი, პური გამოაცხვეს, შემდეგ ორცხობილები დაამზადეს და ტანსაცმელთან ერთად გაუგზავნეს.

გრიგოლ ბერი 1938 წლის გაზაფხულზე გაათავისუფლეს. ამ ამბავს ასე იგონებს ძმისშვილი რეზო ნადარეიშვილი: იმ დროს სახლში სტუმრად ყოფილა მამიდა პელაგია, გამთენიისას ქალებს უცხო კაცი შეუნიშნავთ, ნესტორი გაუღვიძებიათ, ეზოში ვიღაც დადისო. გლახაკია, მოწყალებას ითხოვსო, – უფიქრია ნესტორს. ოდის უკანა კარიდან ჩუმად

1. ინფორმაცია აღებულია შსს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის სააღრიცხვო ბარათიდან (იხ.ფოტო).

გამოსულ მამას რეზოც გაჰყოლია. ყავარჯნებით ხელში ეზოს კუთხეში იდგა გასაოცარი შესახედაობის კაცი, რუსული ყურებიანი ქუდი და დაძონძილი ტანსაცმელი ეცვა. ნესტორმა საკუთარი ძმა ვერ იცნო, პატარა რეზოც შეცბუნებული უცქეროდა უცხოს და ვერ დაეჯერებინა, რომ საყვარელი ბატა ბიძია დაბრუნებულიყო. სიხარულით გადაეხვივნენ ერთმანეთს. მაშინ გადასახლებიდან ადამიანის დაბრუნება ხომ მკვდრეთით აღდგომის ტოლფასი იყო. მოგვიანებით შეტყობინებაც მიიღეს იღუმენია ფავსტოსგან, რომელიც სულიერ ძმას დაბრუნებას ულოცავდა.[1]

გადასახლებაში ჯანმრთელობა საგრძნობლად შერყეოდა. მოგვიანებით იხსენებდა, კილომეტრზე მეტი სიღრმის გვირაბში რომ ჩაგვიშვებდნენ, ცოცხალი თუ ამოვიდოდი არ მეგონაო. ამ გაუსაძლის ყოფაში ფეხები მოეყინა და დაუავადდა. ფეხის თითები და ტერფის ძვალი არ ჰქონდა, ყავარჯნების დახმარებით, ქუსლებით გადაადგილდებოდა. უაქიმეს, უწამლეს და სიცოცხლე შეუნარჩუნეს.

გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ნესტორის ოჯახთან ერთად ცხოვრობდა, ოდასახლის სხვენზე. მარხვის დღეებში იქ დაეყუდებოდა. მთელი მარხვის განმავლობაში სხვენი-

1. სქემიღუმენია ფავსტო (1884–1967), ღირსი ალექსი შუშანიას ბიძაშვილი და სულიერი შვილი. საგულისხმოა, რომ იღუმენია მას სულიერ ძმად იხსენიებს და მის მიმართ ასეთ ერთგულებასა და სიყვარულს გამოხატავს.

დან არ ჩამოდიოდა, ღამეებს ლოცვაში ათევდა, არ წვებოდა, თოკზე გამობმული კალათით აწვდიდნენ მჭადსა და წყალს. მიუხედავად ხორციელი უძლურებისა არასოდეს შეუცვლია ასკეტური ცხოვრების წესი – განუწყვეტელი ლოცვა და მღვიძარება, მუდმივი, დაუცხრომელი ბრძოლა „სოფლის მპყრობელთა მიმართ, ბნელისა მის საწუთროისათა“.

როგორც კი მოიკეთა, დროდადრო იმ ტაძრების სიახლოვეს მოსაგრეობდა, უშჯულოთა დარბევას რომ გადაურჩა. სეფიეთის მთავარანგელოზთა ძველ ტაძართან ან მარტვილის ეკლესიასთან წყაროს სიახლოვეს. წვიმის დროს იქვე მდგარ ცაცხვის ფუღუროს აფარებდა თავს, რკოთი საზრდოობდა, ლოცვაში ათენებდა და აღამებდა.[1]

მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც გერმანელები კავკასიონის ქედს მოადგნენ, ჯაშუშობის თემა აქტუალური გახდა. კომუნისტები მარტვილის ტყეში განმარტოებულ ბერს წააწყდნენ და ჯაშუშობა დააბრალეს, მისი გრძელი წვერი პარიკი ეგონათ და კინაღამ მოაგლიჯეს, შეურაცხყოფილი მილიციაში მიიყვანეს. ბედად, თანამდებობის პირები მისი ნაცნობები აღმოჩნდნენ და გაათავისუფლეს,[2] მამა გრიგოლი ძალიან დაუძლურებუ-

1. მარტვილის საკათედრო ტაძრის სიახლოვეს დღესაც დგას დიდი ცაცვხის ხე, სადაც გრიგოლ ბერი მოსაგრეობდა (იხ. ფოტო).
2. ეს ადამიანები იყვნენ მარტვილის მილიციის უფროსი ალიოშა ქაჯაია,

ლიყო და შინ წასვლა ვერ შეძლო. თავად უთხოვია, იქვე, ნათესავის ოჯახში მიეყვანათ.[1] იქ ღირსეულად მიიღეს, უმკურნალეს, დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ.

1943 წელი იყო, უმძიმესი მთელი ომის განმავლობაში, მტერი ახერხებდა დესანტები ფარულად გადმოესხა, ყველგან ჯაშუშებს ეძებდნენ. ნესტორი ფრთხილობდა, თვითონ წასულიყო ძმის მოსაყვანად. ახლობელს სთხოვა და ეტლით შინ მიიყვანეს.

ომის წლებში მრავლად იყო ისეთიც, ვისაც ეგონა, რომ ჰიტლერის „ახალი წესრიგი“ ხალხს ბედნიერებას მოუტანდა. გრიგოლ ბერს, მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტურ დიქტატურას გმობდა, ამ საკითხთან დაკავშირებით თავიდანვე მართებული მოსაზრება ჰქონდა. ბუნებით თანდაყოლილმა მახვილგონიერებამ, ცხოვრების სიწმინდემ და განუწყვეტელი ლოცვის ღვაწლმა სულიერი განსჯის უნარი მიმადლა. კეთილისა და ბოროტის, იფქლისა და ღვარძლის გასარჩევად მხოლოდ სარწმუნოება არ კმარა, აუცილებელია გულისხმისყოფა, რაც მრავალწლიანი გამოცდილებითა და მოღვაწეობით მიიღწევა. გრიგოლ ბერი ხშირად იტყოდა: ფაშის-

ონტოფოელი ყარამან თოფურიას სიძე და პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ონტოფოელი შალვა დავითაია.

1. მარტვილში, ფოტოგრაფ აქვსენტი გაბისონიას ოჯახში. ისინი ავადმყოფის მოსანახულებლად შემდეგ რამდენჯერმე ჩამოსულან ონტოფოში.

ტებს ყოველთვის საბჭოთა ხელისუფლება გერჩივნოთ, გერმანია და მისი მოკავშირეები უსათუოდ დამარცხდებიანო. კარგად ახსოვთ, საბჭოთა ოფიცერს, გერმანიის სამხედრო მანქანის უძლეველობაზე რომ ლაპარაკობდა, ბერი როგორ დამაჯერებლად უსაბუთებდა, ფაშისტები ვერ გაიმარჯვებენ, შეუძლებელია, უფალმა ეს დაუშვასო.

არავის უნახავს განრისხებული ან აღშფოთებული. ბატონი რეზო ერთადერთ შემთხვევას იხსენებს, როდესაც ბერმა მორწმუნე თანასოფლელი დატუქსა, რომელმაც სიხარულით უთხრა, გერმანელები თუ მოვიდნენ, ეკლესიებს გახსნიანო. ერთხელაც შინ დაბრუნებულმა ძმისშვილებმა პროკლამაციები ანახვეს, სადაც გერმანელები ქართველებს კომუნისტების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ და ნათელ მომავალს ჰპირდებოდნენ. გრიგოლ ბერმა პროკლამაცია ყურადღებით წაიკითხა, ბუხარში შეაგდო და თქვა: „მე დღე და ღამე ვლოცულობ, რომ ფაშისტები აქ არ შემოვიდნენ, ღმერთმა მითხრა, რომ მტერი საქართველოში ვერ შემოვაო“.

ბავშვები სახტად დარჩნენ, ეს ის დრო იყო, როცა მტერი კარს იყო მომდგარი, ქართული ჯარები მარუხისა და კლუხორის უღელტეხილთან იბრძოდნენ. ქარიან ამინდში ქვემეხების ხმა კავკასიონის მთებიდან სოფლამდე აღწევდა. დაბომბეს სოხუმი

და ფოთი... შავსვასტიკიანი თვითმფრინავები ცას სერავდნენ და პროკლამაციებს ყრიდნენ. გამოცხადდა საყოველთაო მობილიზაცია, ყველა ოჯახი ვალდებული იყო, სანგრები გაეთხარა და საჰაერო განგაშის დროს თავი შეეფარებინა.

ამ უმძიმეს წლებში ადამიანები ცხადად გრძნობდნენ მადლმოსილი ბერის ლოცვის ძალას, მის შუამდგომლობას უფლის წინაშე. გრიგოლ ბერს წინასწარხედვის ნიჭი ჰქონდა მიმადლებული და ეს არც იყო საკვირველი, როგორც მამები იტყვიან – „სადაც გულის სიწმინდეა, იქ ღვთის სული დაივანებს“.

ცნობილია რამდენიმე შემთხვევა, თუ როგორ ანუგეშა ომში უგზო-უკვლოდ დაკარგული მეომრების მშობლები. ძმისშვილ რეზოს კარგად ახსოვს მათთან სტუმრად მოსული ბებიას, სოფიოს, ძმის შვილიშვილი, ბენედიქტე ჭანტურიას მშობლები – 1943 წლის შემდეგ ფრონტიდან მისგან არაფერი ისმოდა. დამწუხრებული მშობლები გრიგოლისგან შველას ითხოვდნენ, თუმცა კარგად უწყოდნენ, თუ როგორ არ უყვარდა ბერს ღვთის წინაშე ასეთი კადნიერების გამოჩენა. გრიგოლს შეებრალა ნათესავები და დახმარებას შეჰპირდა. რამდენიმე დღის შემდეგ, სოფელ კვათანაში ესტუმრა მათ. მასპინძლებმა გაიხარეს, მყუდრო სენაკში დააბინავეს, მთელი ღამე ლოცვაში გაატარა. დილით ღვთისგან

ნაუწყები სასიხარულო ამბავი ამცნო, რომ მათი შვილი ტყვედ იყო ჩავარდნილი, მაგრამ ომის დამთავრების შემდეგ ჯანმრთელი და უვნებელი დაბრუნდებოდა. მის ჩამოსვლამდე კი ცხენიანი კაცი ბარათს მოგიტანთ და მალე ბენედიქტეც ჩამოვაო, თან დასძინა, მე მაშინ უკვე ცოცხალი აღარ ვიქნებიო.

გავიდა ხანი, და ერთ დღესაც ყანაში სამუშაოდ გასულებმა ცხენიანი კაცი შენიშნეს, ხელში წერილს რომ მოაფრიალებდა.[1] გაიხარეს მშობლებმა, ბენედიქტეც გრიგოლ ბერის გარდაცვალებიდან ორიოდ კვირაში ჩამოვიდა.

ასე ანუგეშა მორწმუნე და სათნო თანასოფლელი ტიმოთე შარუხიაც და უკვალოდ დაკარგული შვილის გამო წუხილი და ურვა განუქარვა – ცოცხალი დაგიბრუნდება, შვილებიც ეყოლება და შვილიშვილებიცო.[2]

მსგავსი შემთხვევა სხვა დროსაც მომხდარა: 1915 წელს მისი ძმა ნესტორი ბესარაბიაში იბრძოდა, ოჯახს კარგა ხანს მისგან არავითარი ცნობა არ მიუღია, დამწუხრებული დედა ვერ უბედავდა გრიგოლს, რომ დაკარგული ძმის ბედი გამოეთხო-

1. ეს ადამიანი იყო კარლო ჭანტურია, მისი შვილებიც ამჟამად სასულიერო პირები არიან (დეკანოზები: მაქსიმე, მალხაზ და ნაზარ ჭანტურიები).
2. შთამომავლებმა ეს ამბავი ტიმოთესგან გადმოცემით იციან. ეს ის შემთხვევებია რომლის მომსწრე ბატონი რეზო თავად გახლდათ, სხვა მხოლოდ უფალმა უწყის.

ვა ღვთისგან. ბოლოს მაინც კრძალვით შეევედრა. გრიგოლმა მეორე დილით დედას ხილვა უამბო: „ხის ჩრდილში ჩამომჯდარ ნესტორს ქუდი მუხლზე ედო, ხელში აღვირი ეჭირა და თავისი საყვარელი ცხენიც გვერდზე ჰყავდა. უფალმა მითხრა, ამ ომში ერთი კაციც რომ გადარჩეს, ის შენი ძმა იქნებაო“. სულ მალე წერილიც მიიღეს და ნესტორი ომიდან ცოცხალი დაბრუნდა.

ომის დროს ბერისთვის სამხედრო გადასახადი არ მოუთხოვიათ, რადგან, როგორც სამოქალაქო პირი, არსად არ იყო ჩაწერილი, მაგრამ ძმას, ნესტორს, სთხოვა ეს საქმე ისე მოეგვარებინა, რომ მასაც გადაეხადა. ნესტორი ომში გაიწვიეს, უფროსი ძმისშვილი გიორგიც რკინიგზის გასამხედროებულ ნაწილში მსახურობდა, ოჯახზე პასუხისმგებლობა რეზოს დაეკისრა. კარგად ახსოვს ბატა ბიძიას სევდიანი, დანაღვლიანებული თვალები, ნატანჯ სახეზე ყოველთვის უძილობა ეტყობოდა. იგი თანაუგრძნობდა ძმისშვილს, ანუგეშებდა და მხარში ედგა.

დროდადრო კოლმეურნეობაშიც გადიოდა სამუშაოდ. მათი სახლის შორიახლო კოლმეურნეობის მიწა იყო. გრიგოლ ბერს დაბარვა არ შეეძლო, გუთნით მოხნული მიწის ბელტებს ამტვრევდა ხისგან საგანგებოდ გამოთლილი ურითი, რომელსაც ერთი მხარე წვეტიანი ჰქონდა. უზარმაზარ

ბელტებს ჯერ ბასრი პირით გააპობდა და შემდეგ ეროთი ანაწევრებდა. მიუხედავად ავადმყოფობისა, არასოდეს დრტვინავდა, რამდენიმე ჰექტარ მიწას სულ მარტო ამუშავებდა.

ბერი სოფელში იშვიათად გადიოდა, მხოლოდ მორწმუნეებთან ურთიერთობდა – მეზობლად მცხოვრებ ხანდაზმულ მონაზონ დებთან: მართა და მატა (მატრონა) ნადარეიშვილებთან. ახლო სულიერი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა არქიმანდრიტ ლუკა ნადარეიშვილთან,[1] რომელიც თავის დროზე გრიგოლ ბერის დახმარებით მოხვდა ათონის წმინდა მთაზე, სადაც გაიღრმავა ბერმონაზვნური ცხოვრების გამოცდილება. არქიმანდრიტი ლუკა მოღვაწეობდა აფხაზეთში, ხშირად ჩამოდიოდა მშობლიურ სოფელში და ხალხს ნათლავდა. ონტოფოში სტუმრობისას იგი აუცილებლად მოინახულებდა გრიგოლს, უფრო ხშირად კი გრიგოლ ბერი სტუმრობდა მას, ისინი დიდხანს საუბრობდნენ. არქიმანდრიტი ლუკა ყოველთვის

1. არქიმანდრიტი ლუკა (1878–1954) აღიკვეცა ბერად ხობის მონასტერში (1903 წ). 1918 წ-დან მოღვაწეობდა აფხაზეთში. ბედიისა და შემდეგ წმ. ანდრია პირველწოდებულის წარჩეს მონასტერში. იმყოფებოდა პატიმრობაში(1924წ.). წარჩეს მონასტრის დახურვის შემდეგ ცხოვრობდა გულირიფშში. 1938 წლიდან ვიდრე აღსასრულამდე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა სოხუმის ფერისცვალების ეკლესიაში, (ეკლესიაზე ყაჩაღების თავდასხმას ემსხვერპლა). სავარაუდოდ, დაკრძალულია ფერისცვალების ეკლესიის სასაფლაოზე. არქიმანდრიტი ლუკა დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ხალხში, უწმინდესი პატრიარქი კალისტრატეც დიდ პატივს მიაგებდა.

დიდი მოკრძალებითა და სიყვარულით მოიხსენიებდა თავის სულიერ ძმა გრიგოლს.[1]

ამსოფლიურ ამაოებას განრიდებული ბერი შინაგან ლოცვასა და მდუმარებაში იმყოფებოდა, ერთ სიტყვასაც არ იტყოდა საჭიროების გარეშე, ყოველთვის გონებამოკრებილი, ზომიერი და მოკრძალებული არაამქვეყნიურ სიმშვიდესა და სითბოს გამოასხივებდა. ზედმიწევნით იყო განსწავლული წმინდა წერილსა და ასკეტურ ლიტერატურაში, შესანიშნავად ფლობდა ბერძნულ და რუსულ ენებს. მისი სულიერი ღირსებები კეთილშობილური გარეგნობიდანაც საცნაური იყო. მაღალი, წარმოსადეგი, მოგრძო შეჭაღარავებული თმები მხრებამდე სწვდებოდა, ხშირი წვერითა და მეტყველი მიმზიდველი თვალებით. თანდაყოლილი მკვირცხლი და საზრიანი ბუნების გამო შეეძლო გადაწყვეტილების სწრაფად მიღება, მის მახვილ მზერას არაფერი გამოეპარებოდა. მადლმოსილი ბერის ხილვა ყველას ღვთისადმი კრძალვით განაწყობდა.

მისი ყოფნა ღვთაებრივი ნათლის შუქს ჰფენდა სახლს. ყველანი კარგად გრძნობდნენ, რომ ოჯახში ცოცხალი წმინდანი ჰყავდათ, საოცარი კრძალვა და სიყვარული გააჩნდათ მის მიმართ. ძმისშვილები, როდესაც მათემატიკის რთული ამოცანების

1. ამის თაობაზე რეზო ნადარეიშვილის გარდა ცნობებს გვაწვდის აგრეთვე, არქიმანდრიტ ლუკას ძმისშვილიშვილი, ბატონი მალხაზ ნადარეიშვილი.

ამოხსნა გაუჭირდებოდათ, დახმარებისთვის ბატა ბიძიას მიმართავდნენ, ისიც უშურველად ეხმარებოდა, მათი წარმატებები ახარებდა, ყველანი ხომ საუკეთესო მოსწრებით გამოირჩეოდნენ.[1]

ცალკე აღნიშვნის ღირსია გრიგოლ ბერისადმი რძლის, თამარ ბესელიას დამოკიდებულება. ეს სათნო ადამიანი თეკლათის დედათა მონასტრის სასწავლებელში აღიზარდა და სასულიერო პირებისადმი იშვიათი მოკრძალებით გამოირჩეოდა. პატინი (მეგრულად ბატონს ნიშნავს), ასე მიმართავდა იგი მამა გრიგოლს და ბავშვებსაც კარგა ხანს იგი ბერის საკუთარ სახელად მიაჩნდათ. სარწმუნოების შესახებ არასოდეს საუბრობდა, იგი თავისი ცხოვრებით იყო ცოცხალი ხატი ჭეშმარიტი ქრისტიანობისა. მთელი ოჯახი სიცოცხლის ბოლომდე მხარში ედგა ამ საოცარ, წმინდა ადამიანს და იმ უმძიმესი ჯვრის ზიდვაში შეეწეოდა, რომელიც უფლის განგებამ არგუნა. იგი ხომ თავისი უდიდესი ღვაწლით, განუწყვეტელი ლოცვითა და ვედრებით მრავალ-

1. უფროსი ძმისშვილი გიორგი ნადარეიშვილი გახლდათ იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ჰუმანიტარული აკადემიის აკადემიკოსი, მონაწილეობა ჰქონდა მიღებული საქართველოს კონსტიტუციის შექმნაში, მისი ნაშრომები დღესაც აქტუალურია. ქართული სამართლის ისტორია საბჭოურ ინტერესებში არ შედიოდა, ხშირად უსამართლოდ ექცეოდნენ და ებრძოდნენ კიდეც, მაგრამ გრიგოლ ბერის ღირსეული მემკვიდრე, ამ ყველაფერს ამაოებად მიიჩნევდა და ბოლომდე ერთგულად ემსახურებოდა თავის მოწოდებას. გიორგი ნადარეიშვილის მოგონებები წიგნზე მუშაობისას ძალიან შეგვეწია. გრიგოლ ბერის ძმისშვილებს (რეზო, გურამი, გენადი) საპასუხისმგებლო თანამდებობა ეკავათ, ისინი ღირსეულად ემსახურებოდნენ თავიანთ საქმეს და ხალხში გამორჩეული სიყვარულით სარგებლობდნენ.

ჭირნახული ერისათვის ზვარაკად შეიწირა.

ბერის სიწმინდესა და მადლმოსილებაში დარწმუნებული თანასოფლელები მას დიდ პატივს მიაგებდნენ, ღვთის კაცს ეძახდნენ, კარგად უწყოდნენ, რომ უფლის წინაშე მისი სახით დიდი მეოხი ჰყავდათ. მამა გრიგოლი მუდმივი ლოცვის ღვაწლში იყო, მუხლმოყრილი, ჩუმი ხმით, დაუსრულებლად ლოცულობდა, ხელაპყრობილ ბერს გაცისკროვნებულ სახეზე ცრემლები ღვარად სდიოდა, თითქოს ამქვეყნად არც იყო. ამ დროს იგი ყოვლადსახიერი უფლის წინაშე იდგა. მხოლოდ მისკენ ჰქონდა გულისყური მიპყრობილი და ჭვრეტდა იმას, რაც „თვალმან არა იხილა, ყურსა არა ესმა და გულსა კაცისასა არა მოუხდა, რომელი განუმზადა ღმერთმან მოყვარეთა თვისთა“.[1]

მარხვის დღეებში ყოველთვის სადღაც მიდიოდა, მაგრამ არასოდეს ამბობდა სად. 1945 წლის შობის მარხვა იწყებოდა. ეს მისი უკანასკნელი გასვლა იყო. საკმაოდ დაუძლურებული ჩანდა. მკაცრ ასკეტურ მოღვაწეობასა და გადასახლებაში გაუსაძლის ყოფას ძლიერ მოეტეხა. თვალცრემლიანი რეზო შეევედრა, არ წასულიყო. უნდა წავიდე, მიხმობენო. ეზოს უკანა მხრიდან ტყით გავიდნენ, იგი ყოველთვის ასე მიდიოდა შინიდან თავისი

1. ბატონი რეზო მრავალჯერ შესწრებია მამა გრიგოლის ლოცვას. ცნობისმოყვარე ბავშვები ფეხაკრეფით, ჩუმად მიდიოდნენ ბერის სენაკთან და უცქერდნენ, იგი გამუდმებით ლოცულობდა. ამ დროს აზრს მოკლებული იყო მისთვის მიგემართა, ბერი ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდა.

დაყუდების ადგილისკენაც. ახლა სხვა მიმართულებით გაემართა, სოფელ მარანისკენ, საიდანაც, სავარაუდოდ, მატარებლით შეძლებდა გამგზავრებას. მდინარე ნოღელის ხიდთან გამოემშვიდობა ძმისშვილს, გადაეხვია, დალოცა და გზას გაუდგა. დიდხანს გაჰყურებდა თვალცრემლიანი რეზო საყვარელ ბატა ბიძიას.[1]

დეკემბრის ერთ სუსხიან საღამოს შინ დაბრუნდა. ავადმყოფი, მაღალი სიცხით, ფეხზე ძლივს იდგა. ექიმი გაოცებული იყო, როგორ უდგას სული, სისხლი მთლად გაწყალებული აქვსო. ორი დღე იცოცხლა...

ბარბარობის დღესასწაული თენდებოდა. ოდასახლის პატარა სენაკში, სასიკვდილო სარეცელზე იწვა ბერი გრიგოლი. სწორედ იმ სარეცელზე, სადაც ადრე მოევლინა ამ ქვეყანას. ესეც დიდი ადამიანის ნეტარი აღსასრულის თავისებური მის-

1. გრიგოლ ბერსა და არქ. ლუკას შორის არსებული სულიერი მეგობრობა გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ მამა გრიგოლი აფხაზეთში გაემგზავრა. ამ დროისთვის ღვთისმსახურება განახლებული იყო აგრეთვე ილორის წმ. გიორგის ტაძარშიც, სადაც მოღვაწეობდნენ ღირსი ალექსის სულიერი შვილები: არქ. იოაკიმე შენგელაია და დაყუდებული ბერი გიორგი ბულისქირია (ილორის ტაძრის მახლობლად ტყეში მოსაგრეობდა), ამ ღვაწლმოსილ ადამიანებთან მამა გრიგოლს აუცილებლად ექნებოდა ურთიერთობა. შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ მათთან გაემგზავრა. ამის თაობაზე დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვით. ერთი რამ ცხადია, მიდიოდა იქ, სადაც ღვთისმსახურებას აღასრულებდნენ და აღსარება და ზიარება იყო შესაძლებელი. აფხაზეთში, ამ მხრივ, შედარებით უკეთესი ვითარება იყო. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ მატარებლით იგი არაერთხელ გამგზავრებულა. მწუხარებით აღნიშნავდა, მიუხედავად იმისა შემოსილი არ იყო, ურწმუნო ადამიანები მაინც ხვდებოდნენ, რომ იგი სასულიერო პირი იყო და არ ერიდებოდნენ მისთვის შეურაცხყოფის მიყენებას.

ტიკური მინიშნება იყო. დასრულდა გოლგოთა... განვლილი იყო ბრძოლის, უსისხლო მოწამეობის ეკლიანი, იწრო გზა.

უფალი წმინდანებს ღირსშესანიშნავ დღეებში მოუხმობს თავისი მამის სახლში, იქ, სადაც სავანენი მრავლად არიან. გრიგოლ ბერმა ხომ წმინდა ბარბარეს ტაძრის სიახლოვეს გაატარა სიყრმე და მოსაგრეობის წლებიც. აქ ეზიარა იგი პირველად მაცხოვნებელ მადლს და უშჯულოების მიერ დანგრეული ტაძრის ნანგრევებთან მრავალჯერ აღუვლენია ღვთისა და ქალწულმოწამე ბარბარესადმი ვედრება ერისათვის ცოდვათა შენდობისა.

დილიდანვე იგრძნო აღსასრულის მოახლოება. ითხოვა, სენაკში მასთან არ შესულიყვნენ, მხოლოდ საყვარელი რეზო დაიტოვა. არ შეგეშინდეს, ხელები გულზე დამიკრიფე და თვალები დამიხუჭეო. კარი გამოაღებინა, ჩამავალი მზის სხივებით განათებულ ბერის სახეზე სიმშვიდე და მომავალი აღდგომის სიხარული გამოკრთოდა.

აღასრულა სრბაი თვისი ღვაწლმოსილმა ბერმა, მიიცვალა სიკვდილისაგან ცხოვრებად, მარადისობაში დამკვიდრდა მისი მრავალტანჯული სული, იმ სამყაროში, ასე ძალიან რომ სწყუროდა, ამ წყურვილმა აქცია იგი ქრისტეს უძლეველ მხედრად.

სამძიმარზე მხოლოდ ძალიან ახლობლები მივიდნენ, ბევრს შესტკიოდა გული, მაგრამ ხელისუფლების შიშით ვერ გაბედეს მისვლა. ბერი გრი-

გოლი, ანდერძისამებრ, დედის გვერდით დაკრძალეს. ბატონი რეზო მთვარიანი ღამით, სხვებისგან უჩუმრად დადიოდა და უვლიდა მის საფლავს. ბზის ბუჩქიც დარგო, რომ საფლავი არ დაჰკარგვოდა, რადგან მთავრობის შიშით მონიშნულიც კი არ იყო. მაინც იკადრეს და ორჯერ ამოთხარეს ბუჩქი, თუმცა საფლავი არასოდეს წაუბილწავთ.

* * *

გრიგოლ ბერს მიმოწერა ჰქონდა სამთავროს მონასტრის დედებთან.[1] მონასტრის არქივში აღმოჩნდა რამდენიმე ბარათი, რომელიც ღრმა სულიერ შთაბეჭდილებას ტოვებს. გასაოცარია მისი სიბრძნე და სულიერი ცხოვრების გამოცდილება. თვალსაჩინოა, თუ როგორი სულიერი განსჯის ნიჭი ჰქონდა მიმადლებული. ბერად შედგომიდან არც ისე დიდი დრო იყო გასული, როდესაც წერდა: *...ოდეს მაცხოვარი მიაკრეს ჯვარზე, მან სთქვა: „ესე არს დიდება ჩემი,“ ხოლო მოწაფენი დაიბნეს, რამეთუ დაბრკოლდეს მისსა მიმართ. ბევრი მაქვს ამის შესახებ სიტყვა, მაგრამ დავიდუმებ, რადგან გამიგრძელდება. მოკლედ ვიტყვი: ბრძოლის საიდუმლოს იცნობს ბრძოლით განკაფული კაცი, ხოლო დანარჩენები იქნებიან*

1. წერილის ადრესატები არიან: მონაზონი ევპრაქსია ჩარკვიანი და მონაზონი სიდონია ბაქრაძე.

მსხვერპლნი განკითხვისა... ეს ბრძოლა ყოფილა ჩემ-თვის ბედნიერება. ამისთვის მრჩობლ სიხარულში ვიმყოფები. ვიცი, რომ ეს ბრძოლები არის ბეჭედი, თუ გინდ კვერთხი ჩემი ბერობისა, რომლის მეოხე-ბით არა შევიძრა მე უკუნისამდე!“ – ასეთი დიდი სულიერი ბრძოლის ქარცეცხლში იწრთობოდა მისი სული. ჯერ კიდევ წინ ელოდა მრავალი განსაცდე-ლი, სათნოების კიბის უფრო მაღალ საფეხურზე რომ აჰყავდა იგი. ბევრმა ქრისტიანმა, მათ შორის სასუ-ლიერო პირებმაც, ვერ გაუძლეს სასტიკი დევნისა და შინაგანი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის ამ სიმძიმეს, მაგრამ გრიგოლ ბერის სასოება დაუშრე-ტელი იყო: *„ჰე, მრწამს ღვთისა, რამეთუ მე აღვდგე და არა შევიძრა უკუნისამდე ძალითა ქრისტესითა!“*

დიდი ადამიანების ღვაწლი ყოველთვის დაფა-რულია. ის, რაც დაიწერა, ოდენ მრავლისაგან მცი-რედია, მაგრამ ცხადად ჩანს, თუ როგორი ძლიერი ნებისყოფის ადამიანი იყო ბერი გრიგოლი, მტკიცე და შეუდრეკელი მხედარი ქრისტესი, რომელსაც ღრმად ჰქონდა გაცნობიერებული მონაზვნური ცხოვრების არსი და შეეძლო კადნიერად ეთქვა – მე მიძლევიეს სოფელსა.

იგი სულიერი მოძღვრის, ღირსი ალექსისა და სხვა დიდ მოღვაწე მამათა სულიერი მემკვიდრეო-ბის გამგრძელებელია, რომელთა განვლეს ცხონე-ბის იწრო და საჭირო გზა და გავიდნენ განსასვე-ნებელად...

განდეგილობის ღვაწლი ერთ-ერთი უმძიმესია ასკეტურ მოღვაწეობაში. იგი გულისხმობს მუდმივ, განუწყვეტელ ლოცვასა და მღვიძარებას, მძიმე ხორციელ მოსაგრეობასა და კაცობრივი დიდებისაგან განრიდებას. განდეგილი მოღვაწეები იყვნენ ნათელი სოფლისა და მარილი ქვეყანისა, „მთავარი მამოძრავებელი ძალა მებრძოლი ეკლესიისა, თუ არა ისინი ერში ქრისტიანული სული განქარდებოდა“.[1] თავისი სულიერი მოძღვრის, ღირსი ალექსის მიერ, განკაფულ ამ გზას შეუდგა ბერი გრიგოლი და ბოლომდე ღირსეულად განვლო იგი.

ასეთი დიდი მოღვაწეები მიმადლა უფალმა ჩვენს ეკლესიას საყოველთაო უღმერთობისა და ქრისტიანთა სასტიკი დევნის ჟამს. მათმა აღმსარებლობამ და მოწამებრივმა ღვაწლმა გადაარჩინა მებრძოლი ეკლესია. მათი ურყევი რწმენა იყო ის კლდე, რომელსა ზედა დამტკიცებულ არს ეკლესია ქრისტესი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას!

აწ ზეციურ ეკლესიაში მართალთა თანა იხარებს ბერი გრიგოლის განწმენდილი სული, სადიდებლად უფლისა და მეოხად სულთა ჩვენთა. ამინ!

1. არქიმანდრიტი სოფრონი სახაროვი, „მართლმადიდებლური მოღვაწეობის შესახებ“.

წერილები

სულიერნი დანნი ეპპრაქსია და მართა!

პირველად მოგიკითხავთ საღმრთო სიყვარულით, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს ვთხოვ და წმიდა მთავარანგელოზ მიქაელ და გაბრიელს, რათა წარგიმართონ თქვენ სულიერ გზაზე და აღაორძინოს თქვენი სულიერი მისწრაფება იმ ზომამდე რაოდენი მათთვის იქნება სასურველი. გარდა ამისა, გთხოვთ, მომიკითხოთ სულიერი სიყვარულით დანი თქვენი მონასტრისა. ჩემდა საბედნიეროდ, სახელები არც ერთის არ ვიცი, მაგრამ იმედია არ გამამტყუნებთ, ღვთის წინაშე ეს არ შეადგენს ნაკლულევანებას. მომიკითხეთ პავლე ჯაფარიძის[1] ნათესავი, რომელმან უკანასკნელ დროს დამავალა. მასთან მომიკითხეთ ათონელი ბერი იეროდიაკონ ილარიონის ნათესავი.[2] სულითა და გულით ყველასი დიდი მადლობელი ვარ თქვენი უსაზღვრო კაცთმოყვარეებისთვის. სამაგიერო ამაგის გადახდას მოელოდეთ თავად მაცხოვრისგან, რადგანაც მასზე მიმინდია, ვინაიდან ჩემთან ვერ ვხედავდი

1. წილკნის ეპისკოპოსი პავლე ჯაფარიძე, 1907 წ. აღიკვეცა ათონზე, იგი 1910 წ. დაბრუნდა საქართველოში. ხელდასხმულ იქნა მღვდელმთავრად 1924 წ. როდესაც ეს ბარათი იწერებოდა (1916 წ.) იგი მღვდელ-მონაზონი იყო.
2. ბერდიაკონი ილარიონ კალანდაძე, მოღვაწეობდა ათონზე, შემდეგ დაბრუნდა საქართველოში. მისი ნათესავები ცხოვრობდნენ სამთავროს დედათა მონასტერში.

ძალას სამაგიეროს მიგებისას. თქვენი საქციელი, თქვენი კაცთმოყვარება, თქვენი პატივისცემა მუდამ თვალწინ მეხატება. ვგონებ, ამიერიდან არ აღიხოცება ჩემი ხსოვნიდან. მაგიერი ამაგის გადახდა უზენაეს ბუნებაზე მაქვს მინდობილი. ყველას გადაეცით უღრმესი მადლობა.

სულიერო დაო მართა! თქვენი წერილის შინაარსმა ნამეტანი განმაცვიფრა. მავალებთ მოძღვრობას... თქვენს წერილზე ეწერა, თუ არ დაბრკოლდებით მომწერეთო. ეს სიტყვა მრავალაზროვანია და რომ არ მომეწერა პასუხი, შეიძლება თქვენთვის დამაბრკოლებელი ყოფილიყო. ამისთვის ვბედავ მოწერას შეძლებისდაგვარად.

... უკეთუ ჩვენ ყოველი ვნებისა და სათნოების აღწერას ხელვჰყოფთ, შევეცდებით, რამეთუ ვერ შევძლებთ ყველას აღწერას და უკეთუ აღვწეროთ – დავიბნევით და ვერ აღვასრულებთ. მთელი დაბადება, მთელი საწინასწარმეტყველო, მთელი სახარება შეადგენს ვნების წინააღმდეგ ბრძოლას და იმის სწავლას, როგორ უნდა სათნოებას შოვნა. დარწმუნებული ვარ, მე ჩემის მხრით, უკეთუ კაცი შეუდგეს ამის ყოვლის სწავლას და აღსრულებას საქმით, ვერ შეძლებს, დაიბნევა. თქვენ მეტყვით: უკეთუ ეგრეა, რისთვის დაიწერა ესე? უკეთუ გადავხედავთ ქვეყანას, ყოველი ადამიანი, დიდი თუ პატარა მოძრაობს, რათა შეიძინოს ოქრო და ვერცხლი. აწ დავუკვირდეთ, მერე ესენი ერთნაირი გზით მიდის მის საშოვრად? – არა, არამედ –

სხვადასხვა გზით: ერთი პურის მუშაა, მეორე – სიმინდის, მესამე ვაჭარია, მეოთხე მასწავლებელია, მეხუთე აფიცერია, სხვა პოლკოვნიკი, სხვა გენერალია, ხოლო ყველას თუ თავის შრომაზე ეძლევა ოქრო, საზომისაებრ და ღირსებისაებრ თავიანთი ნამოქმედარისა, ეგრეთ, წმინდა წერილის სწავლა მომატყუებელია ყველა ზეციური ოქროისა – ხოლო ჩვენ ძალისაებრ ჩვენისა უნდა ავიღოთ რომელიმე მოკლე სწავლა, მცირე ტვირთი, რათა არ დავეცეთ.

მთელი სახარება შეადგენს აუცილებელ ჩვენთვის საჭირო გზას; მაგრამ ერთ ადგილას იხილე, რას ეუბნება გონიერ ყმაწვილს სახარება (მარკ. 12. 30).[1] მეორე ადგილს, ამ მუხლებს ზეით, დასძენს: ყოველი სჯული და წინასწარმეტყველნი ამ ორ მცნებათა ზედა დამოკიდებულ არიან. აწ იხილე, გონიერს მოწაფეს როგორ მოკლედ და სრულად გადასცა მისი დიდება, რამეთუ ხედავდა მას გულისხმისმყოფელად, ხოლო უგულისხმოთათვის საჭირო იყო ვრცელი სწავლა და ამისთვის გააზვიადა.

უკანასკნელ დროს, როცა იოანე ღვთისმეტყველს ეგულვებოდა სამუდამოდ განშორება თავის მოწაფეებისაგან, მაშინ რაოდენიმეჯერ განიმეორა ერთი და იგივე სიტყვა – გიყვარდენ ერთი მეო-

1. „შეიყვარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა. ესე არს პირველი მცნებაი“(მარკ. 12,30)

რე, გიყვარდენ ერთი მეორე, ხოლო უკანასკნელ მიუგო ერთმა: რა, მამაო, მუდამ ერთი და იგივე სიტყვას იმეორებ, მაშინ მიუგო იოანემ: უკეთუ ეს მცნება დაიცვენით, მაშინ ყოველ მცნებას აღასრულებთ, რამეთუ ამა სიყვარულის სათნოებაზე შთანთქმულ არს ყოველივე სათნოება. აქედან გამოირკვევა, როგორც ამბობს ერთს ადგილს, იოანე კლემაქსი კიბის აღმწერელი, ზოგიერთი სათნოება ნაშობი არს სხვა სათნოებისა და ზოგიერთი – მშობელი არს სხვადასხვა მრავალთა სათნოებათა. ამისთვის სთქვა ნეტარმან მან, რამეთუ რომელი გონიერი იყოს, ხელს ყოფს მშობელსა, რათა მშობელი და ნაშობიც ერთად დაადგრეს მისთანა. ამისთვის ჯერ არს ჩვენდა, რათა ხელვყოთ ამ რჩევას, რათა გზა გვექმნას მოკლე, ტვირთი – სუბუქ და მრავალფასიანი.

აწ, ვიხილოთ, სიტყვა კლემაქსს შინა წერებული რას ამბობს, (გვ. 261, მუხ. ივ). მასთან მივაქციოთ ყურადღება. მაგ ორი მუხლი გვიმტკიცებს, რომ ამპარტავნება არის დიდი და მთავარი ვნება. ესე იგი, თუ კაცი ამპარტავანია იგი არა თუ ამ ერთი ვნების პატრონია, არამედ – ყოველივე ვნებისა, რომელ არის ცისა ქვეშე, რომლის რიცხვი არს ათერთმეტი. აწ მეორე მუხლი – ივ, გვიჩვენებს: უკეთუ ამპარტავნება განქარდეს, შემოვალს სიმდაბლე, მასთან გვიჩვენებს, რა ქნა ამპარტავნებამ და რა სიმდაბლემ. აქიდან სჩანს, რომ დედა ყოველთა ვნებათა ყოფილა ამპარტავნება, ხოლო დე-

და ყოველთა სათნოებათა – სიმდაბლე. ამისთვის ღირს შევებრძოლოთ ამპარტავნებას, დავანგრიოთ ათერთმეტთა ვნებათა ზღუდენი და მოვიპოვოთ სიმდაბლე და ამით განუღოთ კარი ყოველთა სათნოებათა, რათა კადნიერად შევიდეთ და გამოვიდეთ და საძოვარი ვპოვოთ, ვითარცა სთქვა მაცხოვარმან.

ახლა დავრწმუნდით, რომ ჩვენი სიკვდილი ყოფილა ამპარტავნებაში და ცხოვრება – სიმდაბლეში. მაშასადამე, უნდა შევებრძოლოთ ერთს და აღვფხვრათ ძირითურთ, რათა შემოვიდეს მეორე – სიმდაბლე, რომელ არს სრული ცხოვრება. აწ საჭიროა (ვიცოდეთ – რედ.) როგორ შევებრძოლოთ მას, ხოლო მისი გამოქვეყნება ვგონებ ადვილია, ხოლო სისრულეში მოყვანა დამოკიდებულია სურვილზე. სურვილი ყველას აქვს, ხოლო ესენი განიყოფება სამ ნაწილად: პირველი – დაბალია, და შესაწყალობელია მისი პატრონი, ვინაიდან ვიცი, არ არის შემძლებელ შებრძოლებისა; მეორე – საშუალია, ეს საშუალი სურვილი ხან დაეცემა, ხან აღსდგება, და თუ იგი არა დაცხრა, და არა უკუნიქცა, მოელის ამა სოფელში გამარჯვება, თუმცაღა გვიანად ესეც ხდება, რომ ზოგირთი ვერ მიაღწევს თავის სურვილს ამა სოფელში, მაგრამ იქ კი გვირგვინოსანი გამოსჩნდება – ესეც განგებულებითა ღვთისათა იქნების; ხოლო მესამე – სრული სურვილია, რომელსა უწოდებენ ყოვლადცეცხლს. ამ ცეცხლის პატრონი ყოველი მხრით ბედნიერია,

თუ გინდ ადრე მიიღოს, თუ გინდ – გვიან. უძ-
ლური კაცის ბუნება ეძებს, რათა ადრე მიიღოს
განთავისუფლება ვნებებისაგან, ხოლო ღმერთსა
უნებს, რათა ჩვენ მრავალჟამ ვიდგეთ ბრძოლა-
ში და გვირგვინოსანი გამოვჩნდეთ. ამისთვის პირ-
ველად გვიღირს, ვეველრნეთ, რათა ამ ცეცხლის
სურვილი მაღალი გარდამოგვივლინოს ღმერთმან,
და უკეთუ ამა ცეცხლის მაღალ სურვილს მიემ-
თხვიო, ღვთისა მიერ – გიხაროდენ და მეც მეოხ
მეყავ.

არ მოგატყუოს ეშმაკმა, მუნ გამოჩნდებიან ვნე-
ბანი, და არა შეშინდე, არამედ ცეცხლი იგი უხი-
ლავად სწვავს მას (ვნებებს – რედ.). ოდეს კაცმან
დაიწყოს საპნით ხელის ბანვა, მაშინ გამოჩნდება
უმეტესად ჭუჭყი, ხოლო შემდგომად რაოდენიმე
ხნისა გახდება სპეტაკ, ვითარცა თოვლი, – ეგრე
გულისხმაჰყავ ბრძოლა.

აწ მინდა, მოგახსენო სხვადასხვა მამების სწავ-
ლებისაგან, ჩემ მიერ წაკითხული წიგნებიდგან, თუ
რომლითა სახითა შეიძლება შებრძოლება ამპარ-
ტავნებაზე. აიღე კალამი და დასწერე გულის ფი-
ცარსა შინა შენსა:

1. მარადის თავის ბრალობა ყოველსა ზედა, თუ
გინდ მართლად მიგაჩნდეს თავი, თუ გინდ უმარ-
თლოდ (იხ. წიგნი აბბა დოროთესი გვ. 95. მუხლი
1; მასთან კლემაქსი გვ. 264. მუხლი მე.) კარგად
დაუკვირდით ამ მუხლს, რასა ბრძანებს, რამეთუ
მას დიდი სივრცე აქვს და ძალიან ფართოდ ხსნის.

2. უნდა იტვირთო მოყვასისაგან შეურაცხყოფა, გინება, ლანძღვა, ბასრობა თუ გინდ მართალ იყო, თუ გინდ უმართლო, და ესრეთ უნდა შერაცხო ისინი, ვითარცა კეთილისმოქმედნი და ქველის მოქმედნი, და ჭეშმარიტად ეგრე არს, და უნდა შეიყვარო ისინი, ვითარცა თავი თვისი. ხოლო ქება გძულდეს – მაქებელს გრილი თვალი უჩვენე, რათა მეორეჯერ არ გაბედოს ქება; ხოლო შინაგან შეიყვარე. ეძიებდი შეურაცხ მორჩილებას და იტვირთე მორჩილება უფროსისაგან და უმცროსისაგან.

3. ეძიებდი ნების დატევებას, ესე იგი, იქმოდე მორჩილებას არა ეგრე, როგორც შენ გენებოს, არამედ ეგრე როგორც გიბრძანებენ, ხოლო მათი ბრძანება კარგი გამოვა თუ ავი, მაგას ნუ არჩევ, არამედ როგორც გიბრძანონ ისთე ქენი და ბოლო როგორი იქნება, მაგას ნუ ეძებ. შენ მარტო ის ეცადე, რათა ბრძანება აღასრულო სრული მორჩილებით.

4. სიყვარული ყოველთა (იქონიე–რედ.), რამეთუ ესენი მომატყუებელ არიან ყოველთა უსამართლოებათა თავსდებად, რომელი მოიწევიან თქვენზედა.

5. დამჭირვა თავისა თვისისა უქვესყოველთა დაბადებულთა. ესე იგი, ყოველი კაცის უარესად მიგაჩნდეს თავი და უკეთუ ესე დაიმჭირო, ადრე წარემართო, და მასთან ზემოდან (შენს – რედ.) ჩამოგდებას მტერი ვერ შეძლებს. ასეთი დიდად მნიშვნელოვანია ესა.

6. ამას უნდა მივუმატოთ დუმილი, ლოცვა, მარხვა და მღვიძარება მორჩილებით, ესე იგი, მოძღვრისაგან განკანონებული. ყოვლისა საქმისა შესრულებათა უხმს პირველად ძალა, რათა შევასრულოთ იგი, ხოლო მაგ საქმის შემსრულებელ ძალას უნდა შოვნა. ან ვთქვათ, თუ ვითარ იშოვების იგი.

რქვა უფალმან ისუ ნავეს, მოადგილეს მოსე წინასწარმეტყველისას: „ყოველსა რომელსა ვამცნებდი მონასა ჩემსა მოსეს და რომელ დასწერა სჯულსა თვისსა, იგი ქმენ, იმას იწურთიდ, იმას იგონებდ დღე და ღამ და ესრეთ წარემართო“. – გულისხმავყოთ სიტყვანი ესე, რამეთუ საიდუმლო ესე ღრმა არს. ისუ ნავე იყო წინამძღვარი ისრაელთა ერისა, რომელი თვით უფალმან აღმოირჩია წინამძღოლად თვისისა ერისა, მისი საჭიროებისათვის და ავალებს, რათა მუდამ იგონებდეს და იწურთიდეს და ესრეთ წარემართოს და აღასრულოს სჯული მოსესი.

საკვირველი არს საქმე ესე, რამეთუ თვით ღმერთმან მისი საჭიროებისათვის დანიშნა და ერთბაშად არ აძლევს ძალას, არამედ ცოტ-ცოტას, უხილავად, რამეთუ ესრეთ სათნო იჩინა უფალმან.

ამას მიუმატოთ კიდევ სიტყვა ერთი ვინმე წინასწარმეტყველთაგანისა, რომელი თქვა: „წინასწარ განვემზადე და ესრეთ მოვითმინე“. ან იხილე, რამეთუ წინასწარ განმზადება, წურთა და მოგონება საქმისა ვითარ მომატყუებელ ყოფილა ძალისა. არ შეცთე, უეცრად არ მოსთხოვო ეს ძალა

ღმერთს, თუ არა – დაეცემი. პურს რო დასთეესენ, მაშინათვე კი არ მოიმკიან, არამედ რაოდენიმე ხნის მერმედ – ესრეთ გულისხმაჰყავ. ესეც იცოდე, რამეთუ განმზადება ამა საქმეზე, წვრთა, თავისა თვისისა ბრალობა და მოგონება ამა სათნოებათა, სწორ არიან ლოცვისა. თუ მეტყვი, ვინ მომცემს მე ნებას, რათა დუმილი დავიცვა, რამეთუ კრებულსა შორის მორჩილებაში ვიმყოფები, რასაც მოითხოვს მორჩილება, კითხვაც მიეცი და პასუხიც მიუგე, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში იცოდე დუმილი მდიდარი საგანია.

ახლა მივაქციოთ ყურადღება მარხვას. უკეთუ მარხვა არა დაიცევ, უკეთუ მუცელი არ შეაიწროვო, ისთე ვერ წარემართები. ხოლო უცთომელი ეს არის, რომელი ქადაგეს წმიდათა მამათა: მიღება ყოველდღე საზრდელისა, მაგრამ არა განძღომა. მაგალითად ეგრე არის: უკეთუ ზომიერად განძღომაში ყოფნის ოთხი გირვანქა პური, მაშინ უნდა მიიღოს სამი გირვანქა პური; უკეთუ ყოფნის ორი გირვანქა პური, მაშინ უნდა მიიღოს ერთნახევარი გირვანქა პური; ესე იგი, ერთიმეოთხედით ნაკლები იმ ზომისა, რომელი ყოფნის ზომიერ და ზრდილობიან განძღომად. ერთი სიტყვით კრებულთა შორის სხვანაირად უნდა იქნეს და დაყუდებულთა შორის სხვანაირად. თქვენ როგორც კრებულთა შორის მყოფი, ისე უნდა მოიქცეთ. უნდა სჭამო კარგად, მაგრამ იმ დროს უნდა მიატიოთ, რომ არ განსძღე. ესე იგი, კიდევ კარგად გითქმიდეს გული ჭამაზე.

ახლა მივყვები და ჩამოვთვლი რიგ-რიგად ყველას რა და რა ქნა: 1. დუმილი, 2. მარხვა, 3. მორჩილება და შეურაცხება; ვითარცა ზემოთ სწერია ისთე, 4. ბრალობა თავისა თვისისა ყოველსა ზედა, თუ გინდ მართლად მიგაჩნდეს თავი, თუ გინდ არა. 5. ტვირთვა ყოველთა შემაწუხებელთა საქმეთა, რომელი მოიწევიან მოყვასისაგან, თუ გინდ მართლად, თუ გინდ უმართლოდ, ვითარცა ზემოთ წერია. 6. სიყვარული ყოველთა, რამეთუ ესენი მომატყუებელ იქნებიან მოთმინების გულისა, 7. მღვიძარება, ესე იგი, იკმარე ძილი ოთხი ან ხუთი საათი, 8. დამჭირვა თავისა თვისისა, უქვეს ყოველთა დაბადებულთა. 9. მარადის ამა სათნოებათა ხსოვნა და წურთა, ვითარცა ზემო წერია ისთე, 10. მარადის ვედრება ღვთისა მიმართ, რომ წარგიმართოს ამას შინა.

ზემოთ ვთქვი, ერთხელ, სიყვარული ღვთისა, სიყვარული მოყვასისა. ვითარცა სთქვა მაცხოვარმან, არიან პირველი და მეორე მცნება, და ესენი არიან სრულმყოფელ ყოველთა სათნოებათა. უკეთუ ზემო მოყვანილი ათი მუხლი და ის ორი მუხლი, რომელიცა აწ ქვემო მეგულვების, თუ ესენი პირველად არ შეიწყნარე, ესე იგი, თუ ეს ათორმეტი მუხლი პირველად არა განახორციელე შენ შორის – მანამ მაცხოვრის ნაჩვენები ის ორი მუხლი არ განხორციელდება. ხოლო უკეთუ ეს ათორმეტი მუხლი განხორციელდეს შენ შორის, მაშინ იხილე რანაირი ძალი და ნაყოფი გამოჩნდება შენ-

ში, ვითარცა სთქვა პავლე მოციქულმან: ნაყოფი სულისა არს სიყვარული, მშვიდობა, მყუდროება, მარხვა, მოთმინება. ეს პავლე მოციქულის სიტ-ყვები არიან ნაყოფნი იმ სათნოებათა, ესე იგი, იმ ნაყოფის გამომღებელ ათორმეტთა ედემის ხეთა, რომელნი არიან ზემო და ქვემო წერებულ. ხოლო ხსენებული ორი მუხლი არის: 1. დაცვა ყურისა და 2. დაცვა თვალისა. ამ ათორმეტი მუხლის განხორ-ციელებას, როგორც ზემო სწერია ისთე, მუდამ უნდა იწურთიდე – სანამდინ ვერ მიაღწევ.

ახლა მინდა ავხსნა, რა არის პავლე მოციქულის სიტყვები. ზემო ხსენებულნი პავლე მოციქულის სიტყვანი არიან შრომის ნაყოფნი, იგივე ძალაა შეუხებელი. უკეთუ კაცმა იღვაწა ზემოწერებუ-ლი ათორმეტი მუხლით, რაოდენიმე ხნის შემდეგ ოდნავ გამოჩნდების სიყვარული ღვთისა და კაცი-სა, მერმედ თანდათან იზრდება და განსრულდება. შემდგომად ამისა გამოჩნდება სიხარული, რამეთუ უხარის მას, რომ ის ღირსი შეიქმნა და შეიყვარა ღმერთი და მეგობარნი. ამის შემდგომ კაცი იქნება მშვიდი, მყუდრო, არავის აწუხებს, არავის მიუგებს სამაგიეროს, არავის შეაშფოთებს, გინდ მართლად, გინდ უმართლოდ, არამედ ყოველსა ჭირსა, გან-საცდელსა, იწროებასა, შეწუხებათა, შეურაცხე-ბასა და დამდაბლებასა, გინდ ეშმაკისაგან, გინდ ამხანაგისაგან, რომელი მოიწევიან მას ზედა, ით-მენს სრულიად შეუწუხებელად, მხნეობით, და ამას ჰქვიან მარხვა და მოთმინება, რომელ უკანასკნელ

დაასახელა მოციქულმან, და ესე არის იმ ათორმეტთა ნაყოფი და უძლიერესნი ძალნი.

ესეცა უწყოდე, რომ ვისაც სურს სწავლის შეწყნარება პირველად უხმს, რათა აღასრულოს, ვითარცა სწერია ისთე; ხოლო აღსრულებას ვერ შესძლებს მანამდი, სანამდინ ჭეშმარიტად არა რწმენეს უეჭველად სწავლა, ხოლო რომელსა უეჭველად რწმენის სწავლა, და მხურვალება და სურვილი აქვს სათნოებისა, მაშინ ხელს მოკიდებს; ხოლო როცა ხელს მოკიდებს, იმ წამსვე წინ დაუხთებბა ეშმაკი და არწმუნებს, რომ ეს სწავლა ტყუილი ყოფილაო. ესე იგი, სათნოების მაგიერ პირველად გამოჩნდება ვნება, სიყვარულის მაგიერ – სიძულვილი მოყვასთა, და უკეთუ მოღვაწე არ შეშინდა და განაგრძო მოღვაწეობა, რაოდენიმე ხნის შემდეგ ეშმაკს ეკარგება ძალა და გამოჩნდება კეთილი ნაყოფი.

მეორე ხერხი ეშმაკის ეს არის, რომ მოღვაწეს პირველად ნამეტანი გაუძნელდება და უკეთუ არ შეუშინდა, რაოდენიმე ხნის შემდეგ, თანდათან გაუადვილდება და ბოლოს მთლად აღუსუბუქდება.

ესეც უწყოდე, რომ არ არის კაცი ქვეყანაზე, თუ სურვილი აქვნდეს მოღვაწეობისა და რო არ შესძლოს, თუ არ შეუშინდა. რა არის შეშინება? შეშინება არის, რაჟამს კაცმან იწყოს საქმე და წაუხთეს – ჩემი საშველი არ ყოფილაო – და თავს დაანებებს.

უკეთუ დღეში ასჯერ, წაუხთეს და მერმედ კიდევ განაგრძო მოღვაწეობა უკანასკნელ სიკვდილამდინ, მაშინ წარემატება და გამოჩნდება ძლევამოსილ. ამისთვის სთქვა ბერმან ვინმე წმიდასა ბერსა: რაღა ვქნა მამაო უკეთუ დავეცე? ხოლო მან რქვა: უკეთუ დაეცე, აღსდეგ! ხოლო მან რქვა: უკეთუ კულა დავეცე? – კიდევ აღსდეგ! – მიუგო წმინდანმა. ასთე უნდა განაგრძნო უკანასკნელ სიკვდილამდე, და ამისთვის სთქვა მაცხოვარმან: „რომლითა საქმითა გიხილო, მითვე განგიკითხო“.

მაშასადამე, ყოველმხრივ გამარჯვება ჩვენია, უკეთუ არ დავანებეთ თავი მოღვაწებას, რაც უნდა არ წარემართოთ სათნოებაზე. ამისთვის თქმულ არს: დასი მონაზონთა მუდამ სძლევს ეშმაკსო. ხოლო ეს სიტყვა ეკუთვნის იმას, ვინც, რაც უნდა არ წარემართოს და დღეში თუ გინდ ასჯერ დაცემა მოხდეს, მაინც არ დასცხრება მოღვაწებისაგან მთელ მის სიცოცხლეში. ასეთ მოღვაწეს ჰქვია მებრძოლი და ასეთი მებრძოლნი გამოჩნდებიან ღვთისმოყვარე და გვირგვინოსანნი, რომელსაცა თქვენ გისურვებთ, რათა ღირს გყოთ ღმერთმან ესევითარი ცეცხლის შეწყნარებისა და გვირგვინისა, საოხად თქვენთა ნათესავთა და ჩემდა.

ამ ერთსაც მოგახსენებთ: ჩემი ნათესავია მონაზონი, რომელიც ახლაც ცოცხალია. ერთხელ ის გახდა ძლიერ ავად და რაც ჰქონდა, ყველაფერი დახარჯა ავადმყოფობისათვის და ექიმბაშებმა ვერც იცნეს მისი სნეულება და ვერც მიეხმარნენ.

ასე დიდხანს გაგრძელდა და უკანასკნელ ესტუმრა ერთი უბრალო ბერი ჩვენი ქვეყნისა. ბერმა უთხრა ავადმყოფს: ამპარტავნება მოგსვლია და იმისათვის არის რასაც შენ იტანჯებიო და უკეთუ გნებავს მორჩენა, ასთე მოიქეცი როგორც მე ახლა გეტყვიო და მალე მორჩებიო. ყოლიფერი რაც გინდოდესო, მას ნუ იზამო, არამედ პირველად სხვას ჰკითხეო, სთხოვეო და როდესაც ნებას მოგცემენო, მერმე ქენიო. თითქმის სტაქანი წყალიც არ აიღო და არ დალიო სხვის დაუკითხებელადო, და შემდგომად კითხვისა და ნების დართვისა, დალიეო. და დაავალა ეკითხა ყველასათვის ვინც კი შეხვდებოდა დიდი თუ პატარა. ასე მოიქცა ავადმყოფი და ერთი თვის შიგნით ძველი ძალ-ღონე დაუბრუნდა და ახლაც არის ისთე. აწ დაუკვირდი, რა ყოფილა მორჩილება. წაიკითხე წმიდა დოროთეს წერილები და იქაც ნახო ამისთანები.

თქვენი სულიერი ძმა გრიგოლი
1916 წელი, ივლისის 10 დღესა

სულიერო დედაო სიდინია!

პირველად მოგიკითახავთ საღრმთო სიყვარულით, მერმედ ვსთხოვ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს, რათა ეს სულიერი ცეცხლი, რომელიც თქვენს შინაგანში არის დაფუძნებული, უფრო მეტად გააჩაღოს თქვენს სულში და არა მოაკლდეს. გარდა ამისა გთხოვთ მომიკითხოთ ჩემი სულიერი დედა ევპრაქსია საღმთო სიყვარულით, მასთან – თეკლა და ანეტაც. თქვენი წერილი ოცდახუთ ივნისს მივიღე, დანარჩენის არა ვიცი რა. მე თვით მინდოდა წერილის მოწერა თქვენთვის, მაგრამ რადგან ბევრს რამე იმისთანას ეძებდით, რაც არ იყო ჩემი საქმე, ამისთვის გემალებოდით.

სხვა ჩემს ამბებს თუ იკითხავთ, მე დიდ ბრძოლაში შემიყვანა ეშმაკმა. დღეს კიდევ მის ტყვეობაში ვიმყოფები, მაგრამ ახლა ქე ვარ დარწმუნებული, რომ ეს ბრძოლა ყოფილა ჩემთვის ბედნიერება. ამისთვის მრჩობლ სიხარულში ვიმყოფები. ვიცი, რომ ეს ბრძოლები არის ბეჭედი, თუ გინდ კვერთხი ჩემი ბერობისა, რომლის მეოხებით არა შევიძრა მე უკუნისამდე, უკეთუ აღდგომა მომელის!

კითხვა: მომელის თუ არა მე აღდგომა? პასუხი: ჰე, მრწამს ღვთისა, რამეთუ მე აღვდგე და არა შევიძრა უკუნისამდე ძალითა ქრისტესითა, რამეთუ ესე არს შემეცნიერება ღმერთკაცობისა...

ოდეს მაცხოვარი მიაკრეს ჯვარზე, მან სთქვა: „ესე არს დიდება ჩემი,“ ხოლო მოწაფენი დაიბნეს, რამეთუ დაბრკოლდეს მისსა მიმართ. ბევრი მაქვს ამის შესახებ სიტყვა, მაგრამ დავიდუმებ, რადგან გამიგრძელდება. მოკლედ ვიტყვი: ბრძოლის საიდუმლოს იცნობს ბრძოლით განკაფული კაცი, ხოლო დანარჩენები იქნებიან მსხვერპლნი განკითხვისა.

გარდა ამისა, თქვენ იწერებით სამოღვაწეო კანონების შესახებ. კითხვა ჩემთვის გაურკვეველია, თუ რა გინდათ ჩემ მიერ. სხვაა მუდმივმოძღვრება და სხვაა ერთი დარიგება. თუ დარიგებას თხოულობთ, ეს დარიგება, რომელსაც თქვენ თხოულობთ სამოღვაწეო კანონად უნდა დაიჭიროთ – ეს იგივე მოძღვრებაა. მოძღვრება მე არ ვიცი და რომ ვიცოდე, მაინც მე არა მაქვს ნაკურთხი ჩემი მოძღვრიდან. მოძღვრება არის უმაღლესი საქმე, როგორც შენ ჩემ მიერ ეძებ კურთხევას, გზის ჩვენებას, ისე მოძღვარსაც სჭირია მოძღვრისგან კურთხევა; ისთე შრომა ნაყოფს არ გამოიტანს. პირიქით – რაცა ხარ ის კიდევ არ იქნები. უკეთუ შენ ჩემ მიერ მადლს ეძებ, მეც უნდა ვეძიო თქვენი მისაცემი მადლი ვისმესგან. უამისოდ ვიქნებით ჭურ ეშმაკისა. მაგრამ რადგან თქვენ ჩემდამი ასეთი სარწმუნოება გაქვენ, მიუხედავად ჩემი ასეთი უღირსებისა, გაძლევთ პირობას, რომ თქვენ იქნებით ჩემი მოწაფე, უკეთუ მე მეღირსა მოძღვრების შენდობა მოძღვრიდან. უკეთუ თქვენ ასთე

გრწამთ, რომ თვინიერ მოძღვრის შენდობისა მე ეს შემიძლია, ძალიან საწყენი დარჩება ჩემთვის; იმისთვის, რომ თქვენ მიგიჩნევთ უგუნურად და უჭკუოდ. ხოლო სანამდის მე ვიქნებოდე თქვენი მოძღვარი მანამდის ასთე იხლაფორთედ:

შენ ნებას ნურასოდეს ნუ იზამ საღმრთო საქმეზე, ესე იგი, უკეთუ საცოდველ საქმეს არ გირჩევს, მუდამ მიუტევე შენი ნება შენს ამხანაგს. არა ზრახვა სასოფლო საქმისა. ხვალ რო ორშაბათი იყოს, ამეღამ ძილი ქვეჯდომით გადიხადე. ხვალ რო ოთხშაბათი იყოს – ამეღამ ასთე ქენი, ხვალ რო პარასკევი იყოს – ამეღამ.

საზრდელი მიიღე ჩვეულებისაებრ თვინიერ განძღომისა, ესე იგი, ერთი მეოთხედი გაკლდეს რაც გინდა ამიდგან. ლოცვის კანონის მიცემას მე ჯერ ვერ გავბედავ თავის დრომდინ. როგორც ზემოთ გწერთ ამის შესახებ მიმართე სხვას ვინმეს მახლობელს.

ზემოხსენებული ოთხი მუხლი არ მოიადვილო, არ დაიწუნო, ესენი არიან გზა სამეუფო და ფრთე ზეცად აღმყვანი, უკეთუ ეს დაიწუნო, მაშვინ იქნები სნეულიანი. დაიძინე ღამე ოთხი საათი, და უკეთუ არ გეყო, შუადღე კიდე დაიძინე ერთი საათი.

აწ მშვიდობით, კეთილწარმატებით. გწერთ: თქვენი სულიერი ძმა გრიგოლი.

1919 წ. ივლისი 29 დღესა

სულიერი და სიდინია!

მოგიკითხავთ საღმრთო სიყვარულით. შემდგომ ამისა დედა ღვთისას ვთხოვ თქვენს სულიერ აღორძინებას და განმტკიცებას საღმრთო მოქალაქობაზე. გარდა ამისა, გთხოვთ, მომიკითხოთ სულიერი სიყვარულით დედა ევპრაქსია და სხვები, ყველა ჩემი მკითხველი. იმედია მეც მიკითხავთ, მადლობა ღმერთს, არა მიშავს, თუმცაღა არა ვარ ისთე, როგორც მე მსურს, მაგრამ არც ისთე, როგორც ეშმაკს ეგონა. არ მომცა მე ეშმაკმა საშველი, ვერსად ფეხი ვერ მომაკიდებინა. მაგრამ ამაოდ არაა ნათქვამი მამების მიერ, რომ მონაზონი მუდამ სძლევს ეშმაკსო, უკეთუ დაეცა, დაცემულიც სძლევს ეშმაკსო. ცხრა წელიწადია რაც სოფლიდან გამოვედი და იმის მერე სულ იმის მცთელობაში ვარ, რომ რაღაცა ფერად გამომეკვლია რა იყო ღვთის ნება ჩემზედა, და ახლა მოეწყო საქმე ღვთის მიერ ისე, რომ მოძღვარი თანახმაა ამაზე პასუხის მოცემისა. ხოლო დრო და ჟამი არ ვიცი როდის მივიღებ ამაზე პასუხს, ხოლო ვინაიდან აღმითქვა, ამით სჩანს, რომ მოახლოებულია ჟამი გათენებისა, ვინაიდან გვესმის მამლის ყივილი...

ქორწინებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პავლე მოციქული. უკეთუ ქორწინება განქარდეს, მაშინ შვიდივე საიდუმლო განქარდება, და უკეთუ შვიდი

საიდუმლო განქარდეს, ღვთის დიდება განქარდა ამ ქვეყანაზე და უკეთუ ღვთის დიდება განქარდა ამ ქვეყანაზე, მაშინ ღმერთი შემცთარა ქვეყნის გაჩენაზე. მე არ ვამბობ ქორწინება ისეთი კარგი ყოფილა, შენც იქორწინე მეთქი, არამედ ქორწინება არის უმცირესი საიდუმლო სხვა საიდუმლოებასთან და აქვს ასეთი სიღრმე ღვთის სადიდებლად; ხოლო სხვა საიდუმლო, ვითარცა უმაღლესი, მიუწთომელი შინაარსიანია და ამისთვის ვირჩევთ ჩვენ მას, რამეთუ ჩვენ ვართ ქრისტეს მოყვარული მხედრობა.

თქვენი წერილი, უკანასკნელი, მივიღე და პასუხიც დიდი ხანია მოგწერეთ, მაგრამ როგორც მითხრა იოაკიმემ არ მიგიღიათ. აწ როდესაც მოვა წერილის მიწერის დრო, მაშინ მივწერ იოსებ ლეჟავას[1] და ის შენ გამოგიგზავნის. სწავლაზე ჯერ არაფერი შემიძლია მოგახსენოთ. ვიდრემდის მოძღვრისაგან სწავლის უფლებას არ მივიღებ. ამას გავიგებ მაშინ, როდესაც მიჩვენებს იმ გზას, რაც ჩემზე ზეგარდამო მოცემულია, რომელიც აღმითქვა, ვითარცა ზემოთ გწერთ. ჯერ მე ბერობა არ დამიწყია, არამედ ვეძებ ბერობის საფუძველს და თუ ამას მივემთხვიე მერე დავიწყებ ანი–ბანის წერას და სხვას, რასაც ღმერთი მომცემს.

ბერი გრიგოლი 1919 წ. 15 აგვისტო

1. სავარაუდოდ, გამომცემელი იოსებ ლეჟავა, წმ. ალექსი შუშანიას სულიერი შვილი.

სიძალბლით მოგიკითხავ ქრისტეს მიერ სულიერო დაო სიდონია!

გისურვებ ყოველივე კეთილს. ღმერთსა ვთხოვ, ყოვლადძლიერსა, მომნიჭებელს ყოვლისა კეთილისას – გყოს გულისხმისმყოფელ ყოველსა ზედა.

დაო სიდონია, მოციქული იტყვის ქრისტესი: მღვიძარე იყვენით. უკეთუ იღვიძებდით, მპარავი ძნიად წარიპარავს საუნჯესა თქვენსა! დაო ჩემო, უკეთუ კრძალვით ხვიდოდე, არა ადრე წარსცე ქვასა ფერხი; ყოველსა ზედამცა ხარ ფრთხილ, ყოველსავემცა დაითმენ, ვითარცა ქრისტემან შენთვის!

ვცნათ უკუე, ჰოი სულიერო დაო, ვითარმედ ცუდისა სიტყვისათვისცა თანა გვაც სიტყვის მიცემა უფლისა ღვთისა და შემოქმედისა ჩვენისადმი! ყოველსავე ზედამცა იყავ ზომიერ! ყოველსავე საქმესა და სიტყვასა შენსა წამებამცა აქვს წმიდათა წერილთა, და თვინიერ მათსა ნურარას ჰბრძნობ თავით თვისით, რამეთუ ყოველნივე ვცთებით. რომელი სიტყვით არა სცთებოდეს იგი სრული კაცი არს – იტყვის მოციქული!

მოგილოცავ ახალ ჯვარს. აბა, შენ იცი, გოლგოთამდე დიდი გზა გაქვს, იწრო, არ გაამპარტავნდე. მოიგონე, რამეთუ იუდა კრებულსა შორის მოციქულთასა იყო, და დედაკაცი იგი – რომელმან

ფრიად შეიყვარა – კრებულსა შორის მეძავთასა იყო! შეიყვარე წმიდანი წერილნი და აღმოიკითხევდი მათ დღე და ღამე, რათა მათ მიერ განმტკიცდე. დაო ჩემო, უკეთუ ისუს ძესა ნავესსა ეტყოდა, ვითარმედ ძველისა წიგნისა შესაქმეთათვის აღმოიკითხვიდეო წიგნსა ამას დღე და ღამე, რათა უმეტესად გულისხმაყოო – რაზომ ჩვენ, უსწავლელთა ამათ, გვეტყვის სული წმიდა, რათა ვიწურთიდეთ დღე და ღამე წმიდათა წერილთა, რათა უმეტესად გულისხმავყოთ.

იყავი ღვთისა სათნოდ, ღმერთი მშვიდობისა იყოს შენთან, ლოცვა ყავ ჩემთვისაც.

გწერთ მონაზონ სიდონია ბაქრაძეს.
ბერი გრიგოლი 1919 წლის 10 დეკემბერსა



ღირსი ალექსი (შუშანია)
გრიგოლ ბერის სულიერი მოძღვარი

ვასილ (ბატა) ნადარეიშვილი
(ბერი გრიგოლი) ქ. ოდესა 1908 წ.

გრიგოლ ბერის მიერ ათონიდან ჩამობრძანებული ივერიის
ღვთისმშობლის ხატი „მთავარანგელოზთა კუნძულის“ სავანეში

არქიმანდრიტი ლუკა ნადარეიშვილი



1. Фамилия Надарейшвили
2. Имя и отчество (Батая) Василий Григорьевич
3. Год рожд. 1881 4. Место рожд. с. Онтоно Абашского р-на
5. Адрес Там-же
6. Проф. и спец.
7. Занятие Крестьянин - середняк
и отрасль хоз.
8. Прошлое Монах - лишенец
9. Соц. полож. Монах-лишен. 10. Парт. Бп
11. Нац. Грузин 12. Гражд. Сов.
13. Катег. нач. состава запаса
14. Арестован „5" IV 1935 г. и кем Абашелом Р/о
15. Содерж. в Абаше. Р/о
16. Изм. меры пресл.
Ст. ст. УК 58/10 за организ. групп. одиночка (подчеркнуть)

Контрольные даты
Орган Ниж. сер.
Отд. и отд-ние СПО
Хар. прест. а/сов. а/шт
Сл. д. № 3131
Аг. д. №
Кличка
Д. ф. №
Арх.
Арх. 453-56п.
Арх. Кр. 1 еф.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შსს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის სააღრიცხვო ბარათი.

ნადარეიშვილი ვასილ (ბატა) გიგოს ძე, დაბადებული 1881 წ.

სოფ. ონტოფო, აბაშის რ-ნი. ეროვნება – ქართველი.

წარსულში, ბერი – შავსიელი.

სოც. მდგომარეობა, ბერი – შავსიელი.

დაპატიმრების თარიღი: 05. IV.1935.

გაასამართლეს პოლიტიკური მუხლით – 58/10, ანტისაბჭოთა აგიტაცია-პროპაგანდა.

მიესაჯა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა.

ეტაპირებული იქნა ყაზახეთის სსრ ქ. ყარაღანდის შრომა გასწორების ბანაკში 8.IX.1935წ.

არქივი, კ. გ. ბ. 453-56 № 250911



ბერი გრიგოლის პასპორტი,
გაცემული გადასახლების ადგილზე
ქ. ყარაღანდაში, 1938 წ.

ცაცხვის ხე მარტვილის ეკლესიის სიახლოვეს, სადაც
მოღვაწეობდა გრიგოლ ბერი

ნადარეიშვილების მეგრული ოდა ონტოფოდან.
აკად. გიორგი ჩიტაიას სახ. ეთნოგრაფიული მუზეუმი თბილისში

ნესტორ ნადარეიშვილი
გრიგოლ ბერის ძმა.

რეზო ნესტორის ძე ნადარეიშვილი გრიგოლ ბერის საფლავთან

წიგნი გამოსაცემად მომზადდა
სუჯუნის წმ. გიორგის დედათა მონასტერში

წიგნზე მუშაობდნენ:
იღუმენია ბარბარე (ქობალია)
მონაზონი ანისია (ქობალია)

მასალების მოწოდებისთვის ვმადლობთ საქართველოს ეკლესიის
ისტორიის მკვლევარს ლუარსაბ ტოგონიძეს

დამკაბადონებელი მაკა ცომაია

დაიბეჭდა შპს „სეზანში“
CEZANNE
PRINTING HOUSE

ივერონის მონასტერი, წმ. იოანე ღვთისმეტყველის
ქართული სავანე, ათონის წმ. მთა